# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 21 აპრილი, 2011 წელი.

№75 (6686)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# „მღელვარებიდან ბუნტამდე ერთი ნაბიჯია!“



რევოლუცია ტორტი არ არის, შეუკვეთო და მეორე დღეს გამოიტანო... ③

## ხელისუფლება რაც უფრო მეტად ჩაკეტავს გარემოს და ვაკუუმს შექმნის, ვითარება მით უფრო ფეთქებადსაშიში იქნება



②

## წარსულით ყოყოჩობა დიდი ვერაფერი შეღავათია ⑤



## დანაშაულისთვის პასუხი კი უნდა აგონ, მაგრამ... ⑦

გზას ვაგრძელებთ, თორემ რა გზაა...

## ხელისუფლებას „რედ ბული“ ხომ არ დაულევია? ②

ხალხზე შემდგარი უკვე ჰაერშიც აფრინდა?





⑧

საეკლესიო რევოლუცია პალმებქვეშ



## რუსეთმა ⑥ ენერგეტიკულადაც დაგვიპყრო

◉ ოპოზიცია

# ირაკლი ალასანია: არა მგონია, რადიკალებსა და ხელისუფლებას შორის შეთანხმება არსებობდეს, თუმცა სააკაშვილი მათ სათავისოდ გამოიყენებს

## ოქრუაშვილ-ალასანიას შორის პოლემიკა არ შედგება?



**„თავისუფალი დემოკრატები“ ჰილარი კლინტონის განცხადებას ეხმაურებიან და მას პოზიტიურ სიგნალად მიიჩნევენ. გუშინ გაეროს ოფისში „რვიანი“ საერთაშორისო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეხვდა. ევროკავშირი იმედოვნებს, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით გაგრძელდება ხელისუფლებისა და ოპოზიციის დიალოგი.**

ირაკლი ალასანიას გუნდი მწვავედ უპირისპირდება იმ ძალებს, რომლებიც პროტესტის ქუჩაში გადატანას გეგმავენ. **„სააკაშვილს ორი შანსი აქვს: ან რეალურად შეუწყოს ხელი ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, რის შესახებაც რჩევა ჰილარი კლინტონისაგან, ნატოს სპეციალური წარმომადგენლისაგან და რესპუბლიკელი სენატორისაგან მიიღო, ან მუბარაქის ბედი გაიზიაროს. საბოლოო ჯამში 2012-2013 წლებში ხალხის ნებით ხელისუფლების შეცვლა გარდაუვალია“,** — იმედოვნებს ირაკლი ალასანია.

გუშინ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ მის მიმართ გამოთქმულ მოსაზრებაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ქართული პარტიის“ ლიდერმა ალასანიას „პოლიტიკური ქალწული“ უწოდა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილმა ისე დააკარგვინა უბიწოება, რომ ვერც გაიგო. ალასანია ამაზე ამბობს: **„არა მგონია, ირაკლი ოქრუშვილის განცხადებები იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ მასთან დისკუსიაში ჩაბმად ღირდეს. ის მე შეურაცხყოფას ვერანაირად ვერ მომაყენებს“.** არაკორექტული განცხადებების მიუხედავად, ოპოზიციონერი ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან აპირებს თანამშრომლობას, ვისი შეხედულებები და ბრძოლის გზა „თავისუფალი დემოკრატების“ მოსაზრებებს დაემთხვევა. რაც შეეხება რევოლუციას და რადიკალური ცვლილებების მეთოდებს, ირაკლი ალასანია ამბობს: **„არ ვფიქრობ, რომ რადიკალებსა და სააკაშვილს შორის შეთანხმება არსებობდეს, თუმცა ვიცი, რომ სააკაშვილი ამას სათავისოდ გამოიყენებს. იგი მათ პრორუსულობას დააბრალებს და განაცხადებს, რომ რეჟიმის შეცვლა სწორედ რუსეთს სურს. სააკაშვილი შეეცდება, ეს ჩირქი მთელ ოპოზიციურ სპექტრს მოსცხოს, ხოლო საერთაშორისო საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ერთადერთი პროდასავლური ძალა თვითონ არის, ამიტომ ხელისუფლებაში მისი დარჩენა სჯობს“.** ამასთანავე, ალასანია ფიქრობს, რომ რევოლუციური პროცესების დაწყება ქვეყანას არაფერში წაადგება და 90-იან წლებში დააბრუნებს.

თუმცა გუშინდელი ბრიფინგის ძირითადი თემა სულ სხვა იყო. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი შიდა ქართლის სოფლებში არსებულ მძიმე სოციალურ ვითარებას გამოეხმაურა, სადაც ის წინადღით იმყოფებოდა. **„სოფლების — ზელდულეთის, ზერტისის, ახრისის, ხელთუბნის, ბროწლეთის, ტირძნისის და ქორდის მაცხოვრებელთა მდგომარეობა საგანგაშოა. ხელისუფლების დაპირებების მიუხედავად, ამ სოფლებში კვლავ მოუგვარებელია სარწყავი წყლის, ტექნიკისა და სასუქის პრობლემა, რის გამოც პრაქტიკულად შეჩერებულია საგაზაფხულო სამუშაოები“,** — აღნიშნა ალასანიამ, რომელიც მიწების გასხვისების თემასაც გამოეხმაურა და ეკონომიკის სამინისტროს ბრალი დასდო მოსახლეობის ინტერესების იგნორირებაში: **„ეკონომიკის სამინისტრო ფარულად ასხვისებს მიწებს, რომლებსაც გლეხები საძოვრებად იყენებდნენ. ეს პრობლემა განსაკუთრებით აწუხებთ ზელდულეთსა და ხელთუბანში. ახრისში ხეხილის ბაღები გაიჩეხა უწყლობის გამო, სარწყავი არხების გარეშე არიან დარჩენილი ბროწლეთსა და ქორდაში“.** ბრიფინგზე ითქვა, რომ სასურსათო ვაუჩერი ოჯახების უმეტესობას არ მიუღია და ის ჯერ მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებს დაურიგდათ.

„თავისუფალი დემოკრატები“ მიმართავენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უსწრაფესად წარმოადგინონ ანგარიში, როგორ აპირებს საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობას გლეხებისთვის. ასევე მოუწოდებენ ეკონომიკის სამინისტროს, საჯარო გახადოს, როგორ ჩატარდა ტენდერი, რის შედეგადაც გლეხებისგან მალულად გაასხვისეს სოფლის მიწები.

**საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან და გლეხების პრობლემებზე აქტიურად ალაპარაკდა არასაპარლამენტო თუ საპარლამენტო სპექტრი, თუმცა, ხელისუფლება და სააკაშვილი მხოლოდ ერთ ნაწილზე ამახვილებენ ყურადღებას — ეს ეხება ოპოზიციის მოწოდებას გლეხობისთვის, არ დათესონ ჰიბრიდული სიმინდი. თითქოსდა, სხვა პრობლემა სოფელს არ აღელვებდეს...**

ნია ფიფია

◉ დედა, რა იყო ეს, აა?!

# ხელისუფლებას „რედ ბული“ ხომ არ დაულევია?

## ხალხზე შემდგარი უკვე ჰაერშიც აფრინდა?

**გუშინ თბილისში წვიმა მოვიდა, გაყავისფერდა მთელი ქალაქი!**

**ვაჰ, კინაღამ ლექსი არ გამომივიდა? თუმცა ასე ვარ „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ“,... ანუ ნაშუადღევს, თორემ ნეტა დილით გენახეთ, როცა ახალნაყიდი ქურთუკი ტალახის წვიმამ ისე გადამიდღაბნა, საშუალო დონის ქიმწმენდაც ვერ უშველის.**

**რასაც მაშინ, სხვათა მსგავსად, ვილანძღებოდი!**



დედა, რა იყო ეს, აა?!. — „დათა თუთაშხიას“ ერთი პერსონაჟივით კითხულობდა გაკვირვებულ-გაოცებული ხალხი და თითქოს ცაში ეძებდა იქიდან გადმოხეთქილი ყავისფერი დელგმის გაჩენის საიდუმლოს.

ამის შემყურეს, უნებლიეთ, ერთი ბოლოდროინდელი მულტიპლიკაციური სატელევიზიო რეკლამა გამახსენდა, „რედ ბულის“ უალკოჰოლო სასმელს რომ ადიდებს.

უთუოდ გეცოდინებათ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ მის შინაარსს:

**მიდის კაცი ქუჩაში. უცებ ჩიტი დაასკინტლავს. გაბრაზდება კაცი, „რედ ბულის“ ქილას გამოცლის, ფრთები გამოესხმება, აფრინდება, ჩიტს ზემოდან მოექცევა, „გადმოიმასქნება“ ასე არ უნდაო, და ხვანჯარს შეიხსნის...**

**„რედ ბული“ აფრთიაანებს!“** — ასეთი ტექსტი ჩნდება ეკრანზე ამის შემდეგ.

ახლა კი, ვიდრე მთავარ სათქმელს ვიტყოდე, ბარემ ერთ „წვერებიან“ ანეკდოტსაც გავიხსენებ, სასაფლაოდან ახალგამოსულ მიხოს, რომელმაც სიდედრი ის-ის იყო დაასაფლავა, ჩიტი რომ დაასკინტლავს.

**— უკვე ჰაერში ხარ არა, შე ოხერო, შენა?!** — შეუკურთხებს გაბრაზებული მიხო სიდედრის სულს.

**ჰოდა, სხვებივით მეც რომ ცაში ავიხედე, უცებ ჩვენი ხელისუფლების კოლექტიური სახე არ დავინახე, თუ მომეჩვენა, კაცო?!**

თან ერთი ჩემი უფროსი მეგობრისა და კოლეგის მახვილგონივრული ნათქვამი გამახსენდა — ჩვენი სახელმწიფო კი არ შედგა სახელმწიფოდ, როგორც ამას პრეზიდენტი სააკაშვილი გვიმტკიცებს, არამედ სახელმწიფო და ხელისუფლება შედგა თავის ხალხსო.

ამ ორივე ასოციაციის „გაერთმთლიანებით“ კი ასეთმა „მკრეხელურმა“ აზრმაც გამიელვა ცაში ახედულს:

**ხელისუფლებას „რედ ბული“ ხომ არ დაულევია და უკვე ჰაერში აფრენილს ჩვენთვის, ურთიერთდაპირისპირებით გართულთათვის, ყავისფრად ხომ არ „გადმოუმასძნებია“?**

**აბა, სხვაგვარად, მართლაც, „დედა, რა იყო ეს, აა?!“**
**თუმცა ეს მართლაც ასე რომ იყოს, რა გასაკვირი იქნებოდა?**
**რაო, პირველი შემთხვევაა თუ რა?**

რუსლან რუსია

◉ განსჯა

# ხელისუფლება რაც უფრო მეტად ჩაკეტავს გარემოს და ვაკუუმს შექმნის, ვითარება მით უფრო ფეთქებადსაშიში იქნება

## გვესაუბრება ფსიქოლოგი მარინა ჩიტაშვილი



**— ქალბატონო მარინა, პოლიტიკოსები აკეთებენ განცხადებებს რევოლუციისთვის მზადების თაობაზე; საარჩევნო გარემოს შესახებ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე მოლაპარაკებები პრაქტიკულად ჩიხშია შესული; ოპოზიცია მხარდამჭერის მისალებად რეგიონებში გააქტიურდა. თქვენ როგორ შეაფასებდით ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას?**

— ოპოზიციას ნამდვილად შეუძლია გააკეთოს განცხადებები რევოლუციის შესახებ, მაგრამ რამდენად წარმატებულად განხორციელდება ეს რევოლუცია, არ ვიცი. ამ შემთხვევაში მიზეზი ძალიან მარტივია. რევოლუციისთვის საჭიროა ორი რამ — უნდა იყოს სრულიად გაუსაძლისი პირობები, რაც ამბოხის წინაპირობაა და არსებობდეს პოლიტიკური ძალა, რომელსაც ხალხი ერთმნიშვნელოვნად ენდობა. იმის მიუხედავად, რომ ინფლაციის კოეფიციენტი ოფიციალური მონაცემებით 14%-ია, რამდენად გაუსაძლისია მდგომარეობა, ვერ გეტყვით; რაც შეეხება პოლიტიკურ ძალას, რომლის მოწოდებაზეც ხალხი ქუჩაში უნდა გამოვიდეს, ასეთი პრეცედენტი ორი წლის წინათ იყო, მაგრამ მის შემდგომ ხალხის მასობრივი გამოსვლების მომსწრეები აღარ ვყოფილვართ. ეს კი ნიშნავს, რომ ოპოზიციის მიერ აქამდე განხორციელებული ქმედებებისთვის ხალხის დიდ რაოდენობას ნდობა არ გამოუცხადებია. ამის კარგი მაგალითი იყო იგივე ადგილობრივი არჩევნები, რომელშიც ამომრჩეველმა მონაწილეობა არ მიიღო. არჩევნებზე ხელისუფლებამ მხარდამჭერების მობილიზება შეძლო. საუბარი არ არის იმაზე, რომ ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა. თუ რეალურად შევხედავთ არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთა რაოდენობას და ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, დავრწმუნდებით, რომ ადამიანები საარჩევნო უბნებში, უბრალოდ, არ მივიდნენ. ვითარებაში, რომელშიც ვიმყოფებით, რევოლუციის ალბათობა ყოველთვის არის, მაგრამ საუბარი იმაზე, რომ რევოლუციების დიდი ქარტეხილი გველოდება, ამ ეტაპზე აშკარად გადაჭარბებულია.

**— ექსპერტთა ნაწილის აზრით, ქვეყანაში სახიფათო ვითარებაა და იმის გამო, რომ ქვეყანაში საფრთხის თავიდან აცილებისათვის ქმედითი მექანიზმები პრაქტიკულად არ არსებობს, დიდია ალბათობაა, საფრთხე კატასტროფაში არ გადაიზარდოს. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— თუკი ვითარებას ამ თვალსაზრისით შევხედავთ, საქმე სახარბიელოდ ნამდვილად არა გვაქვს. თუ გავითვალისწინებთ საქართველოზე საერთაშორისო ანალიტიკურ მასალებს, ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ქვეყანაში ძალიან მძიმე ვითარებაა. ერთია, როგორ აფორმებს ამას ხელისუფლება ვირტუალურ რეალობაში, მაგრამ მეორეა, რეალურად რა სიტუაციაა. ვიზიარებ ექსპერტთა შეშფოთებას საფრთხესთან დაკავშირებით, ვინაიდან ქვეყანაში ინფლაციის საკმაოდ მაღალი კოეფიციენტია, პრაქტიკულად არ არსებობს მედიასივრცე, სერიოზული პრობლემებია სასამართლო სისტემაში და, რაც მთავარია, სოციალურად დაუცველი ფენა კატასტროფულად იზრდება. ეს ყველაფერი წინაპირობა გახლავთ იმისა, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არასახარბიელოდ შევფასდეს. თუ რა იქნება ამ ვითარებიდან გამოსავალი — მაინცდამაინც რევოლუცია, აპათიის კიდევ უფრო გაგრძელება და გაღრმავება, თუ ეს იქნება სხვა, უფრო პროგრესული რამ, ამაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი.

იხ. 4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## არჩევნები და საზოგადოება

**საარჩევნო კოდექსის შეცვლასთან დაკავშირებით ხელისუფლებასა და „რვიანს“ შორის მოლაპარაკებათა პროცესი შეჩერებულია. კონკრეტულად არც ერთმა მხარემ არ იცის, როდის გაგრძელდება ის და რა ფორმატში მოექცევა, თუმცა კოდექსზე მუშაობა და დახვეწა გარდაუვალია.**

**ჰილარი კლინტონის მოწოდება, რომ 2012-2013 წლის არჩევნები საქართველოში დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს, წყლის ნაყვა როდია. საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ძალებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს საერთაშორისო ზემოქმედების დიდი იმედი აქვთ. „ქართული აკადემიის“ ინიციატივით ამ საკითხზე „შერატონ მეტეხი პალასში“ დიდი კონფერენცია გაიმართა, რომელშიც ბევრი არასამთავრობო მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც.**

# ქუჩაში გასვლა ადვილია, მაგრამ იქიდან გამოსვლაა ძნელი

## რევოლუცია ტორტი არ არის, შეუკვეთო და მეორე დღეს გამოიტანო...

კონფერენციის მონაწილეებმა მიმართვის ტექსტი გაუგზავნეს საერთაშორისო საზოგადოებას, სადაც აღნიშნულია, რომ ისინი რადიკალური გზით ხელისუფლების ცვლილებებს არ ემხრობიან: **„ვაცნობიერებთ რა რევოლუციური გზით ცვლილებების არაპროგნოზირებად, სახელმწიფოს განვითარებისა და თვით მისი არსებობისთვის რეალური ხიფათის შემცველ პერსპექტივას, ვთანხმდებით არჩევნების მეშვეობით ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობაზე“,** – ნათქვამია ტექსტში, სადაც ისინი უცხოურ ორგანიზაციებს სთხოვენ, **„გამოიყენონ საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში მიღებული ყველა მეთოდი და საშუალება, რათა დაარწმუნონ საქართველოს ხელისუფლება ძალაუფლების უზურპაციის უპერსპექტივობაში, ოპოზიციურ პარტიებთან შეთანხმების აუცილებლობაში“.**

სანამ ამ ტექსტს ხელი მოეწერებოდა, კონფერენციის მსვლელობისას ცნობილი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პოზიცია, რამაც ძალიან გაახარა მონაწილეები.

სხვათა შორის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ანგარიშში, რომელსაც ასე ჰქვია – „არჩევანი არჩევანის გარეშე“ და რომელიც გასული წლების საარჩევნო გარემოს შეეხება, მოყვანილია ციტატა, ასევე ჰილარი კლინტონის შარშანდელი ერთ-ერთი გამოსვლიდან, სადაც ის ამბობს: **„დემოკრატიას რთული დღეები უდგას, ყველა მაჩვენებლით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ავტოკრატებმა საკუთარი პოზიციები განიმტკიცეს. ყველაზე განსხვავებული ქვეყნები – რუსეთი, ვენესუელა, ირანი – „დემოკრატიულ“ რიტორიკას ოსტატურად იყენებენ. რაც არ უშლის ხელს მათ ფალსიფიცირებულ არჩევნებს, ყალბ პოლიტიკურ პარტიებს, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად „სამოქალაქო საზოგადოებასაც“ კი. მთავარია ორთქლის გამოშვება და რეალური გარდაქმნის მოთხოვნაზე ზეწოლის გაძლიერება“.**

რამდენიმე თვეში მსოფლიომ იხილა, როგორ „გამოუშვა ორთქლი“ არაბულმა სამყარომ, თუმცა ეს პროცესები აქტიურად ჯერ არ შეხებიათ კლინტონის ჩამონათვალ ქვეყნებს. საქართველო ერთ-ერთი მათგანია. აქ, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად აკეთებენ აქცენტს ყალბ დემოკრატიაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ.

„Freedom House“-ის 2010 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ **„2000 წელთან შედარებით საქართველოში უცვლელი დარჩა სამოქალაქო განვითარების მაჩვენებელი, შემცირდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხი, გაუარესდა საარჩევნო გარემო, შემცირდა მედიის თავისუფლება და ცენტრალური ხელისუფლების დემოკრატიულობის ხარისხი“.**

და მაინც, ყოველ ნაბიჯზე გაისმის გაკვირვებული ხალხის კითხვა: **„ნებისმიერი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილში (ქუჩაში, ტრანსპორტში, სტადიონზე, კინოში, კაფეში, ჭირსა თუ ლხინში) ნაცმოძრაობის მომხრეები აბსოლუტურ უმცირესობაში არიან და როგორ იღებენ არჩევნებში ხმების უმრავლესობას?“**



საქმეში ჩახედული ქართული არასამთავრობოები ამბობენ, რომ საარჩევნო კოდექსზე მეტად, აქ სხვა რამდენიმე ფაქტორი მუშაობს: ამომრჩეველთა ნაწილს გულწრფელად სჯერა, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის წასვლა ქვეყნისთვის ტრაგედიაა; მეორე ნაწილს ოპოზიციაში არავინ მოსწონს; ხელისუფლების მომხრეთა ნაწილი სახელმწიფოს სტრუქტურებში ან კერძო ბიზნესში არიან დასაქმებულნი და შიშობენ, რომ სამუშაოს დაკარგავენ და გარანტიებს ინარჩუნებენ. მეოთხე ნაწილი დაშინებულია იმით, რომ მათი ოჯახის წევრებს (ნარკომანებს, მოკრიმინალო ელემენტებს, პატიმრებს ან პოტენციურ პატიმრებს) პრობლემები შეექმნებათ; და ბოლოს, ძალიან ბევრი ამომრჩევლისთვის, სულერთია, ვინ იქნება ხელისუფლებაში. სწორედ ასე აიხსნება ხელისუფლებისადმი მოსახლეობის უმრავლესობის „მხარდაჭერა“, **თუმცა ყველა ამ ასპექტში აშკარად გამოკვეთილია ნაპოლეონისეული რიტორიკა: „არის ორი ბერკეტი, რომლითაც შეიძლება ამოძრავო ადამიანები – შიში და პირადი ინტერესები“, რაც ასე მიესადაგება ჩვენს ეპოქას.**

ყველამ კარგად იცის, რომ არჩევნები არ არის მხოლოდ არჩევნების დღე, და თუ ნაციონალური მოძრაობის ყოველდღიურ ქმედებებს გადავხედავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ხელისუფლება არაფერს იშურებს პიარ-კამპანიისთვის, რაშიც უპირველესად ხელს უწყობენ ნაციონალური ტელეარხები. აქვს თუ არა აზრი ასეთ პიროვნებში დიდი იმედის დამყარებას იმაზე, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა, პარალელურად საარჩევნო გარემოსაც შეცვლის? კონფერენციაში მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობას ამის მაინც სჯერა.

**ნუკრი ქანთარიას** თქმით, **„პროცესები სხვადასხვა ფაზაში უნდა გადავიდეს. უნდა ვისხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან, უნდა გამოვიყენოთ ქუჩის აქციებიც – საარჩევნო გარემოს შეცვლის მოთხოვნით, და ამასთანავე, უწყვეტი კონტაქტი უნდა გვქონდეს საერთაშორისო თანამეგობრობასთან, რომელსაც არსებულ ვითარებას გავაცნობთ. აქამდე ძალიან ბევრი ენერგია ტყუილად დაიხარჯა, ახლა ახალი გროვდება და თუ შეცდომები გათვალისწინებული იქნება, პროცესები მართებულად წარიმართება. რაც შეეხება რევოლუციას, ტორტი არ არის, რომელიც შეიძლება საცხობს შეუკვეთო და მეორე დღეს მზა სახით გამოიტანო... მას კიდევ უფრო რთული მზადება სჭირდება“.**

შედარებით სკეპტიკური იყო **ეკა ბესელიას** პოზიცია: **„თითქოს ამდენი წელიწადი მოჯადოებულ წრეში დავდივართ, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ რეალურად დემოკრატიული არჩევნები ჩასატარებელია. ამ პროცესს სჭირდება ხელშეწყობა და არა მმრთველი ძალის შეცვლა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ნაციონალების პოზიცია უფრო მკვეთრი და გასაგებია, ვიდრე „რვიანისა“, რომლებიც რაღაცნაირად უფრთხიან ხოლმე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას. მოთხოვნები გასაგები უნდა იყოს – ჩვენ გვინდა თავისუფალი არჩევნები და თავისუფალი გარემო, რისთვისაც ღირს კიდეც ქუჩაში ხალხის გამოყვანა. გასაგებია, რომ „რვიანი“ რეგიონებს მოივლის, ხალხს სათქმელს ეტყვის და გააგებინებს, მაგრამ მერე რას იზამს? რა, ისევ რეზოლუციების წერას ხომ არ შეუდგება?! ამიტომ მათ მეტი სითამამე სჭირდებათ, და სიტუაციის ადეკვატურები უნდა გახდნენ“.**

**გიორგი ცაგარეიშვილი** კი ირწმუნება, რომ „რვიანს“ თავისი მოთხოვნები კარგად აქვს ჩამოყალიბებული. **„ხელისუფლებას სურს, გაყოს „რვიანი“, ჩვენ დაგვაბრალოს მოლაპარაკებების ჩაშლა, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა კომპრომისების მოძებნა, მათთან საუბარი. ბოლო ვადაა მაისის დასასრული, ჩვენ უნდა მივიღოთ შეთანხმება ამ დროისთვის, რადგან სექტემბერში, როცა პარლამენტი შეიკრიბება, ვიცოდეთ, რაზე მოგვიწევს მსჯელობა.**

**შიგა საუბრებში ქუჩაში გამოსვლებსაც განვიხილავთ, მაგრამ ჩვენ გვეშინია უიმედობისა და ნიჰილიზმისა, რაც შეიძლება ცუდად მოუბრუნდეს ოპტიმისტურად განწყობილ საზოგადოებას. ქუჩაში გასვლა ადვილია, მაგრამ იქიდან გამოსვლაა ძნელი“,** – დასძინა მან.

**თეა მოსია**

## „სახალხო კრება“

# „მღელვარებიდან ბუნტამდე ერთი ნაბიჯია!“

**გამოვიდა სახალხო კრების გაზეთი „სახალხო კრება“, რომელსაც ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვები ამშვენებს დევიზად: „ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე, სხვა გზას ვერ ვხედავ!“**

**„ჩვენ ხალხს გამოსვლისკენ მოვუწოდებთ და სახლებში ყველანი გამარჯვებული დავბრუნდებით!“ – ამბობს წარმომადგენლობითი სახალხო კრების თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილი. ბატონი მინდია უგრეხელიძე კი გვამცნობს: „ორი მაისიდან იწყება ბრძოლის ახალი ტალღა!“**




წარმომადგენლობითი სახალხო კრების საინიციატივო ჯგუფის წევრი გოგი ქავთარაძეც შეშფოთებულია საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარებით – **„არც სამსახური, არც უსაფრთხოება და არც მომავლის იმედი. აი, ასეთი სიტუაციაა და, მერწმუნეთ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება!“** – წერს იგი და დასძენს: **„მღელვარებიდან ბუნტამდე ერთი ნაბიჯია!“**

ლუკა კურტანიძე კი მზადაა, სახალხო კრების წევრებმა პირადი თავგანწირვით სხვებს მაგალითი მისცენ: **„ხვალინდელი დღის შეცვლა ჩვენს ერთობას და თავგანწირვას შეუძლია. რაც უფრო მეტი ადამიანი გამოვა ქუჩაში და რაც უფრო მასშტაბური იქნება საპროტესტო აქცია, მით მეტია წარმატების შანსი“,** – ამბობს იგი.

გაზეთში გამოქვეყნებულია ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან სათაურით: „ბრწყინვალე შვიდეულის დასრულებისთანავე ჩვენ გამოვაცხადებთ მოქმედების კონკრეტულ გეგმას, გამოსვლების დაწყების თარიღს, ბრძოლის ტაქტიკას და სტრატეგიას!“

ერთგვერდიანი ინტერვიუ „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერთან და სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრთან ნინო ბურჯანაძესთან მრავალ საინტერესო საკითხს წარმოაჩენს. **„ჩვენ ერთმანეთს შუა ბრძოლაში არ მივატოვებთ! ჩვენ ხელისუფლებასთან გარიგებაზე არ წავალთ! ჩვენ გამარჯვებამდე ვიბრძოლებთ!“** – აცხადებს ქალბატონი ნინო.

გაზეთში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის მიერ დანიური ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუზე. იგი ამბობს – **„საქართველომ წარმოშვა ძლიერი ლიდერები, სტალინი, ბერია, გამსახურდია, შევარდნაძეც კი შეგვიძლია მივაკუთვნოთ მათ რიცხვს... ამ ლიდერთა თვალთახედვა სცდებოდა საქართველოს ფარგლებს. ჩემი ქმარიც მათ კატეგორიას განეკუთვნება. ის აგრძელებს ამ ტრადიციას. ამ ქვეყანას სჭირდება ძლიერი ხელი... პასუხისმგებლობის გრძნობა აქ უაღრესად ნაკლებია... მე ვფიქრობ, რომ ჩემი ქმარი ზუსტად ის ადამიანია, ვისიც ხალხს უნდა ეშინოდეს. აქ არ არის ლაპარაკი პირდაპირ ფაშიზმზე ან რაღაც მაგდაგვარზე. თუ, ვინიცობაა, მან გამოავლინა რაიმე სახის ექსტრემისტული თვისებები, მაშინ მას ამის შესახებ მიუთითებენ“...**

ამ სიტყვებზე კომენტარი, სახალხო კრების გაზეთის მსგავსად, ჩვენც საზოგადოებისთვის მიგვინდვია.

გაზეთის მთლიანი ნომერი დამუხტულია საპროტესტო აქციების სულისკვეთებით.

**„ყოველი ფეხის ნაბიჯზე უსამართლობას ვაწყდებით. სამართლიანი არჩევნების იმედი გადაიწურა. ამიტომ ხალხი იძულებულია, ქუჩაში გამოვიდეს და სამართალი აღასრულოს. ამათი გაშვება მხოლოდ საპროტესტო აქციების გზითაა შესაძლებელი!** – აცხადებენ ზაქარია ქუცნაშვილი, კახა კაციტაძე, რეზო ესაძე.

რუბრიკით „დრო იწურება!“ დახატულია ჩვენი ვითარება: რა იყო გუშინ, რა არის დღეს, რა იქნება ხვალ?

**გაზეთის ინფორმაციით – ჩვენი ქვეყნის ტერიტორია 20 პროცენტით არის შემცირებული, მოსახლეობა კი – 40 პროცენტით, ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი 2,2-ჯერ არის გაზრდილი (7 მილიარდ 100 მილიონი ლარია); ჩვენი დევნილების რაოდენობა 23 ათასით არის გაზრდილი (250 ათასი ადამიანია); ჩვენი პატიმრების რაოდენობა 3-ჯერ არის გაზრდილი (23 8634 ადამიანი); პირობითი სასჯელის მატარებელ პირთა რაოდენობა 4-ჯერ არის გაზრდილი ( 147 000 ადამიანი); ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 2/3-ზე (ანუ 70 პროცენტზე) მეტი თავს უმუშევრად მიიჩნევს.**

გუშინდელთან შედარებით სურსათი 3-ჯერ გაძვირდა, ელექტროენერგია და გაზი – 2-ჯერ, ჯანდაცვა, განათლება – ასევე ორჯერ; ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 2/3 ანუ 70 პროცენტი ღარიბ-ღატაკად იქცა.

**„საკუთარი რეჟიმის შესანარჩუნებლად სააკაშვილი და მისი ხელისუფლება მზად არის: კიდევ უფრო მეტი ტერიტორიის დაკარგვის ფასადაც კი წამოიწყოს მორიგი ომი, თითოეული ჩვენგანი აქციოს დევნილად, უმწეოდ და უკანონო პატიმრად, ფეხქვეშ გაგვითელოს ეროვნული ფასეულობები, დამატებით აიღოს მილიარდობით დოლარი საგარეო ვალი, გაგვაქციოს ქვეყნიდან...**

**სააკაშვილი აცხადებს, რომ მისთვის საქართველო საცდელი ლაბორატორიაა!**

**გინდა შენი სამშობლო ამ ხელისუფლების საცდელი ლაბორატორია იყოს?**

**შენ გინდა იყო სააკაშვილის საცდელი კურდღელი?**

**აი, რატომ უნდა დასრულდეს სააკაშვილის რეჟიმის თვითნებობა ახლავე!“** – წერს გაზეთი.

მოძრაობა „არას“ ლიდერი ლევან ჩიტაძე კი ინტერვიუში აცხადებს: **„უახლოეს მომავალში თბილისის ქუჩებში მოვაწყობთ სააკაშვილისა და მისი ჩინოვნიკების სასახლეების ფოტოების საზოგადოებრივ გამოფენებს!“**

**„ძალა ხალხშია“, – სჯერათ კრების ორგანიზატორებს. შემოგვიერთდით – მოუწოდებენ ყველა მოქალაქეს. აქვე წაიკითხავთ სახალხო წარმომადგენლობითი კრების თბილისის კომიტეტების მისამართებსა და ტელეფონებს, სამოქალაქო წინააღმდეგობის მისამართებსა და ტელეფონებს, სამოქალაქო წინააღმდეგობის რაიონული კომიტეტის მისამართებს.**

**ნატა ნიბლაძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განსჯა

# ხელისუფლება რაც უფრო მეტად ჩაკეტავს გარემოს და ვაკუუმს შექმნის, ვითარება მით უფრო ფეთქებადსაშიში იქნება

(მეორე გვერდიდან)

**— ბევრი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ოპოზიციაში ისეთ ძალებს ეძებს, რომელნიც თანახმა იქნებიან, ქვეყანაში ცვლილებები ნელ-ნელა მოხდეს. უდავოა, რომ ამგვარი მტკიცება თავისთავად ითვალისწინებს „ოპოზიციური რვიანის" დაშლას და ისეთი ვითარების შექმნას, რომლის დროსაც არჩევნებში მონაწილეობას ყველა ოპოზიციური პარტია არ მიიღებს. რამდენად სავარაუდოა მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარება?**

— შემიძლია გითხრათ, რომ ხელისუფლებას მსგავსი მოდელები ძალიან წარმატებით განუხორციელებია; თუ ჩვენმა ოპოზიციამ კიდევ ვერ ისწავლა ჭკუა, ეს მხოლოდ მათი პრობლემაა. ასეთ შემთხვევაში არათუ „რვიანის" დაშლა, კარგი იქნება თუ „რვიანი" გახდება 16-იანი და მასში სულ უფრო მეტი ოპოზიციური ძალა გაერთიანდება. ხელისუფლებას ყოველთვის ექნება იმის მცდელობა, რომ პოლიტიკური კონკურენტი რაც შეიძლება დაასუსტოს. ამგვარი მოქმედება ყველა ხელისუფლების სტრატეგიაა. ცხადია, თუ ხელისუფლებაში ხარ, მიზანიც ძალაუფლების დიდხანს შენარჩუნებაა. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, როცა ხელისუფლება აკეთებს გათვლებს, თუ რას გააკეთებს მისი მოწინააღმდეგე, რომელსაც ზუსტად იგივე, ანუ ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი აქვს. ვითარებაში, როცა ერთი პარტია რეალურად აკონტროლებს პოლიტიკურ სივრცეს, წესითა და რიგით, მას ოპოზიციური პარტიების დაშლა არ უნდა აწყობდეს.

რაც შეეხება იმას, რომ ყოველთვის იქნება სატელიტი, რომელსაც ჰქვია ოპოზიცია, მაგრამ რეალურად მხოლოდ ხელისუფლებისთვის ანტურაჟის როლს ასრულებს, ასეთი რამ სრულიად მოსალოდნელია. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან თანამშრომლობის დიდი სურვილით გამოირჩევა. რაზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქისთვის, სულაც არ არის პროგნოზის გაკეთების კარგი წინაპირობა.

**— საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებამ საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რამდენად ადეკვატურად შეაფასა ხელისუფლებამ ვაშინგტონის ხედვა და რამდენად სერიოზულად მოეკიდა მას?**

— არა მგონია, რომ ადეკვატურად შეაფასა. გამოსვლები, რომ დოკუმენტში ერთეული ეპიზოდებია აღწერილი და მეტი არაფერი; რომ რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში წერია, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ჩრდილოვანი დოკუმენტია და არა სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, — ეს რეალურად ასე არ არის. ის, რომ ხელისუფლებას ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესაბამისად დანახვა არ სურს, მხოლოდ აძლიერებს მოვლენების ყველაზე უფრო ცუდი, ანუ უკონტროლო ბუნტის სცენარით განვითარების შესაძლებლობას. ეს კი ქვეყნისთვის ყველაზე არასასურველი სცენარია. ხელისუფლებისთვის ბევრად უფრო ადეკვატური იქნებოდა, რომ კონსტიტუციის პროექტში სავალდებულოც კი ყოფილიყო ქვეყნის მართვის კოალიციური მთავრობისთვის დაკისრება, რაც მნიშვნელოვნად გააფართოებდა ხელისუფლების მხრიდან დიალოგის წარმართვის მზაობას; და მეორეც, ყოფილიყო სიტუაცია, როდესაც ხელისუფლება დაინტერესებული იქნებოდა, რას ფიქრობენ მის შესახებ ჩვეულებრივი ადამიანები და გაეთვალისწინებინა მათი აზრი. ჯერჯერობით, ასეთი ბანალური ჭეშმარიტებისკენ ნაბიჯები ხელისუფლებას არ გადაუდგამს.



**— ერთ-ერთ ინტერვიუში აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი წუხილს გამოთქვამს, რომ საქართველოში ადამიანები ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის საშუალებად ქუჩაში დაბრუნებას მიიჩნევენ. თქვენი აზრით, საპროტესტო აქციების დაწყების ალბათობის ფონზე, რაში შეიძლება ვეძებოთ ელჩის შეფასების საფუძველი. იმაში, რომ ოპოზიციამ არ იცის, როგორ გაუწიოს ოპონირება ხელისუფლებას, რომ ოპოზიცია ვერ იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, თუ იმაში, რომ ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და კანონმდებლობასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებში დათმობებზე წასვლა არ სურს?**

— ერთიც, მეორეც და მესამეც. რაც შეეხება ბასის განცხადებას, ბატონი ბასი, როგორც აშშ და დასავლეთის ქვეყნები, რომლებმაც რუსეთს არ მისცეს საშუალება, გავრცელებულიყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, საქართველოს მიმართ უკიდურესად კეთილგანწყობილია. აშშ-მა და დასავლეთის ქვეყნებმა ერთმნიშვნელოვნად გამოხატეს თავიანთი პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ბატონ ბასის ნათქვამს, რომ ხალხის ქუჩაში გამოსვლა პროცესების ყველაზე ცუდი და არასასურველი სცენარით განვითარების შესაძლებლობაა, ეს განცხადება მიუთითებს, რომ აშშ არ არის საქართველოში პროცესების რევოლუციური სცენარის განვითარებით დაინტერესებული. ამით, არც ჩვენ არ უნდა ვიყოთ მაგრამ ამავე დროს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ხელისუფლებას ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს — თუ ხელისუფლებამ ასე გააგრძელა, ფაქტობრივად ქმნის წინაპირობას იმისა, რომ მოვლენები საქართველოში ყველაზე არასასურველი სცენარით განვითარდეს.

არ შეიძლება ადამიანს ეგონოს, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებს, სწორია. არ შეიძლება, ადამიანი ბრმად რჩებოდეს მხოლოდ და მხოლოდ თავის იდეალურ წარმოდგენებში და ახალ რეალობას ანგარიშს არ უწევდეს. შესაბამისად, მე ასეთ კითხვასაც დავსვამდი — რომ არა მედიის თავისუფლება, შესაძლებელი იქნებოდა 2003 წლის ხავერდოვანი რევოლუცია? ჩემი პასუხი ასეთია — არა, შეუძლებელი იქნებოდა.

შესაბამისად, თუკი მაშინ შესაძლებელი გახდა ხავერდოვანი რევოლუცია, ვითარებაში, რომელშიც ვიმყოფებით, თავისუფალი სივრცის არარსებობის გამო ხავერდოვანი რევოლუციის ალბათობა აშკარად ნაკლებია. ხელისუფლება რაც უფრო მეტად ჩაკეტავს გარემოს და ვაკუუმს შექმნის, ვითარება მით უფრო ფეთქებადსაშიში იქნება. ვაკუუმში ჰაერი არ მოძრაობს, ხოლო ვენტილაცია იმის საშუალებას იძლევა, რომ ჩვენს სივრცეში მყოფ ყველა თვალსაზრისს გამოხატვის საშუალება ჰქონდეს.

რაც შეეხება ევროპულ დემოკრატიას, ევროპული დემოკრატია რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვას გულისხმობს. მთელი ჩვენი მოღვაწეობა იმასთან დაკავშირებით, რომ გვინდა, გავხდეთ თანამედროვე სამყაროს სრულუფლებიანი წევრი, თავისუფალი ქვეყნის მშენებლობაზე უნდა გადიოდეს და არა — შუასაუკუნეების ან პირველი მსოფლიო ომის პერიოდის იმპერიის, თუნდაც პატარა იმპერიის მშენებლობაზე.

**კობა ბენდელიანი.**
**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## „რვიანმა" შეხვედრა გამართა

**ოპოზიციური „რვიანის" წარმომადგენლები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდნენ.**

**შეხვედრაზე, რომელიც გაეროს თბილისის ოფისში გაიმართა, პოლიტიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა ელჩებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული ის წინადადებები გააცნეს, რომელსაც მმართველი გუნდი არ იზიარებს.**

**როგორც „რვიანში" შემავალი კონსერვატიული პარტიის ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, დიპლომატიური კორპუსი და საერთაშორისო ორგანიზაციები ეს ის ძალაა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა" შეუძლია, აიძულოს, დათმობებზე წავიდეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

სახელმწიფო ბიუჯეტი

# ცვლილებები ინფლაციის ფონზე

**ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, — ეს ხატოვანი თქმა, ვფიქრობთ, სრულად ასახავს გაკვირვების იმ გრძნობას, რომელიც ეკონომიკის ექსპერტებს, ზოგადად, საქმეში ჩახედულ ხალხს დაემართა მას შემდეგ, რაც სულ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების ამბავი შეიტყვეს. კიდევ ერთი რამ, რაც კაცს ამ ამბავთან შეიძლება აზრად მოგივიდეს, სხვა თქმაც არის — ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. საქმე ის არის, რომ მთავრობა ბოლო წლების ტრადიციად ქცეულ ჩვევას არ ღალატობს და სახელმწიფო ბიუჯეტს ზრდის, რამდენიმე დღის წინათ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ფინანსთა სამინისტროს ეს წინადადება მიიღო (ნეტავ, ეჭვი ვინმეს თუ ეპარებოდა?), რის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი 350 მილიონი ლარით გაიზრდება.**

ამ ფაქტთან დაკავშირებით, სხვა თუ არაფერი, ორი მომენტია ერთგვარად კომიკური ელფერის. პირველი ის გახლავთ, რომ, როგორც ოფიციოზის წარმომადგენლები აცხადებენ, ბიუჯეტის „გზაში" გაზრდა მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და სურსათის ვაუჩერების გაცემამ და პენსიების 100 ლარამდე სამომავლო გაზრდის გეგმამ განაპირობა. მეორე გარემოება კი ის გახლავთ, რომ ფინანსთა მინისტრის კახა ბაინდურაშვილის განცხადებით, იმის გამო, რომ ბოლო დროს საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი საპროგნოზოზე გაცილებით მაღალია, და, ალბათ, დაგეგმილი 4,5 პროცენტის მაგივრად სადღეისოდ იგი 5,5 პროცენტს შეადგენს, სავარაუდოა, რომ რამდენიმე თვეში ბიუჯეტს კიდევ ერთხელ მოუწიოს გადახედვა მისი მომატების მხრივ. მინისტრი იმასაც ამბობს, რომ თუ ამჟამინდელი ტენდენცია სუბიექტურ მიზეზთა გამო არ შენელდა, წლის მიწურულს ეკონომიკურმა ზრდამ, შესაძლოა, სულაც 6,5-7 პროცენტს მიაღწიოს.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული გარემოებები დიდ კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის, რომ მოსახლეობისთვის ელექტროენერგიისა და სურსათის ვაუჩერების დარიგების ამბავი ბიუჯეტის მიღებამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, ამიტომ ამ მომენტის გათვალისწინება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. ამიტომ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის იმ მიზეზით ახსნა ისევე მის შემდგენელთა სისუსტეს მიანიშნებს, როგორც ეკონომიკური ზრდის ტემპის ლამის 50-პროცენტიანი სავარაუდო ცთომილება, რომელსაც საქართველოს მთავარ ეკონომიკურ დოკუმენტში შესწორებების მეორე მიზეზად ასახელებს ქვეყნის მთავარი ფინანსისტი.

ამასობაში, წლევანდელმა ინფლაციამ, რასაც ჰქვია, „აიწყვიტა", სადღეისოდ 14-პროცენტიან ზღვარს გადავიდა და მოსალოდნელ-გათვალისწინებულს დაახლოებით ორჯერ უკვე გადააჭარბა. სწორედ ინფლაციის მაღალი ტემპით ხსნიან ეკონომისტები სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირების საჭიროებას. არადა, რა ძნელი გასათვლელი იყო წინასწარ, რომ მოსახლეობაზე გაცემული მრავალი ათეული მილიონი ლარი ენერ-



გო და სასურსათო ვაუჩერების სახით, რომელიც არანაირად არ იყო გამაგრებული საქონლით ან მომსახურებით, აუცილებლად ლარის გაუფასურებას შეუწყობდა ხელს? თუმცა ფინანსთა სამინისტროში ბიუჯეტში ცვლილებების ინფლაციასთან კავშირს უარყოფენ, თავად მინისტრის განცხადებით კი წლევანდელი ბიუჯეტის ზრდას მოგების გადასახადის მატება განაპირობებს, რასაც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი უწყობს ხელს.

იხ. 6 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

გლობუსი

# წარსულით ყოყოჩობა დიდი ვერაფერი შეღავათია

**რუსეთის პოლიტიკოსები, ლიბერალური ინტელიგენცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კარგა ხანია ტვინს უბურღავენ საკუთარ მოსახლეობას, რომ ეკონომიკურ-სოციალურ-პოლიტიკური ჩამორჩენილობა ერთი ადამიანის – სტალინის და სტალინიზმის ბრალია და მისი გამოსწორება სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია, ვინაიდან ხელს უშლის ქვეყნის წინსვლა-განვითარებას.**

ოფიციალური პროპაგანდის მიხედვით, სტალინიზმით გონდაბინდულ საზოგადოებას, ასეთები კი საკმაოდაა რუსეთში, მინიმალური შანსიც არა აქვს განახორციელოს ახალი გეგმა, რომელმაც საზოგადოება უნდა განკურნოს სტალინიზმის მავნე ბაცილისგან. დაისახა პრაქტიკული გზებიც, რომელთა შორის თვალშისაცემია აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობის მიერ სტალინისა და სტალინიზმის საჯარო ქებაზე აკრძალვა. აკრძალვა, ცხადია ძალისმიერია და უფრო შეეფერება ნახევარი საუკუნის წინანდელ სტალინურ ეპოქას, ვიდრე 21-ე საუკუნის მეორე დეკადის დასაწყისს. გარდა მსგავსი ძალისმიერი აკრძალვისა, სხვა ძალისმიერი ღონისძიებებიც იგეგმება: **ანტისტალინური ფილმების გადაღება, სპექტაკლების დადგმა, სტატიების, წიგნების ბეჭდვა, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა და სხვა. ყოველივე ადამიანთა გონებაზე დაუღალავი, პირდაპირი შეტევის მომასწავებელია. ერთი სიტყვით ანტისტალინურმა ცუნამმა უნდა გამორეცხოს რუსეთის მოქალაქეთა ტვინები. დესტალინიზაციის გეგმის ცხოვრებაში გატარება მილიონობით რუბლი დაჯდება, შედეგი კი ისეთივე იქნება, როგორც ადრე ჩატარებული დესტალინიზაციის დროს, ვინაიდან მეხსიერებასთან ბრძოლა იოლი საქმე არ არის.**

**რუსულ ტელეარხებზე გაშლილი პოლიტიკური დებატებიდან გამომდინარე აშკარად ჩანს სტალინიზმის პუტინთან დაკავშირების მცდელობა. მედვედევი კარგია, პუტინი – ცუდი. მედვედევი ცდილობს, ქვეყანა ჭაობიდან ამოიყვანოს, პუტინი კი დახავსებული სტალინიზმის კურსს აგრძელებს. პუტინი „დერჟავისტია“, მედვედევი – ლიბერალი, ინტერნაციონალისტი და სხვა.**

რუსეთში იშვიათობას არ წარმოადგენს დესტალინიზაციის თემა. საბჭოთა ლიდერის ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობიდან დაწყებული ფართომასშტაბიანი ღონისძიება ხან ჭარბი, ხან ნაკლები დოზით თავს ეხვეოდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობას. რა არ ითქვა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ხალხის გონებაში გამჯდარ სტალინიზმის აღმოფხვრას არაფერი ეშველა. ხრუშჩოვის მემკვიდრემ დესტალინიზაციის თემას ალმაცერად შეხედა და კარგა ხნის განმავლობაში ისტორიის თაროზე შემოდო.

საბჭოთა იდეოლოგია და სტალინის პიროვნებისადმი დამოკიდებულება იმისდამიხედვით იცვლებოდა, თუ როგორი განწყობა ჰქონდა ქვეყნის პირველ პირს არა მარტო სტალინისადმი, არამედ „დერჟავისადმი“. რუსეთის, სამწუხაროდ, გორბაჩოვ-ელცინის გაუთვლელმა, დამთმობმა, ძირგამომთხრელმა მოქმედებამ სუპერ სახელმწიფო რიგითი ქვეყნების დონეზე დაიყვანა. დაბეჩავებული ქვეყანა ევროპის ქვეყნების ენერგეტიკულ დანამატად იქცა. და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის მოკლე დროში შეძლებდა არათუ ფეხზე წამოდგომას, არამედ საერთაშორისო არენაზე გავლენიანი სიტყვის თქმას. პრაგმატულად მოაზროვნე პუტინმა ეს შეძლო, რითაც რუსეთის დაქუცმაცების იმედი გადაუწურა დასავლეთს.

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული დესტალინიზაციის გეგმა რატომღაც დაემთხვა მომავალ წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს. რუსულ ტელეარხებზე გაშლილი პოლიტიკური დებატებიდან გამომდინარე აშკარად ჩანს სტალინიზმის პუტინთან დაკავშირების მცდელობა. მედვედევი კარგია, პუტინი – ცუდი. მედვედევი ცდილობს, ქვეყანა ჭაობიდან ამოიყვანოს, პუტინი კი დახავსებული სტალინიზმის კურსს აგრძელებს. პუტინი „დერჟავისტია“, მედვედევი – ლიბერალი, ინტერნაციონალისტი და სხვა.

სტალინის გარდაცვალებიდან დღემდე განვლილმა პერიოდმა ნათელჰყო, რომ სტალინთან და სტალინიზმთან ბრძოლა ძნელია. არც იმის მოიმედობა იძლევა ოპტიმიზმის საბაბს, რომ საშუალო და მაღალი ასაკის ადამიანები მალე დატოვებენ ამ წუთისოფელს და მათთან ერთად სტალინიზმიც ისტორიას ჩაბარდება. დესტალინიზაციის მებაირაღეებს აშფოთებთ ახალგაზრდა სტალინელთა გამოჩენა, მათი გააქტიურება. როგორც ჩანს, ვიდრე იარსებებს სამშობლოს – „დერჟავის“ შეგრძნება, იარსებებს სტალინიზმიც.

თუ თვალს გადავავლებთ საბჭოთა ისტორიას, დავინახავთ ინტერნაციონალიზმით, კოსმოპოლიტიზმით შეპყრობილი ბოლშევიკი ბელადების უარყოფით დამოკიდებულებას ყოველივე ეროვნულის, რუსულის მიმართ. **გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში თვით სიტყვა „რუსულის“ გამოყენებას თავს არიდებდნენ, ცვლიდნენ რა მას „მოსკოვურით“, „ჩვენით“, „თანამედროვედ“. მსგავსი „ნაციონალური სირცხვილი“ ბოლშევიკ კრიტიკოსთა მიერ იყო ჩამოყალიბებული. ისინი მრავალი წლის განმავლობაში ქოქოლას აყრიდნენ ყოველივე რუსულს, განსაკუთრებით მის ისტორიას. მხოლოდ 1931 წლის 5 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის კპ ცკ-ს დადგენილებამ სკოლაში სასწავლო საგნად აღადგინა რუსთის ისტორია. „რუსულის“ აღდგენა სტალინის დაბადების დღეს და საბჭოთა პირამიდაში მისი პიროვნების საბოლოო განმტკიცებას შემთხვევით არ დამთხვევია. კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოში ერთპიროვნული ძალაუფლებით აღჭურვილი სტალინისთვის დიდ პრობლემას აღარ წარმოადგენდა რუსული ენისა და რუსეთის ისტორიისთვის ახლებური ძალით სულის შთაბერვა. სწორედ იმ პერიოდში ცნობილი გახდა, რომ ის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა პეტრე დიდის პიროვნებისადმი, თვლიდა რა მისაღებად იმ ეპოქის თანამედროვეობასთან პარალელების გავლებას. 1931 წლის 4 თებერვალს საბჭოთა კავშირის მრეწველობის მუშაკთა კონფერენციაზე გამოსვლის დროს სტალინმა ჩაუყარა საფუძველი ახალ იდეოლოგიურ კურსს სიტყვა „ოტეჩესტვოდან“ დაწყებული. ამ სიტყვას ოციანი წლების ბოლშევიკები დაცინვით მოიხსენიებდნენ, აიგივებდნენ რა მას რევოლუციამდელ რუსეთთან. სტალინის ძალისხმევით „ოტეჩესტვომ“ ახალი ჟღერადობა შეიძინა. ის მჭიდროდ დაუკავშირდა „ნაშა სტრანას“ არსს. „ახლა, როდესაც ჩვენ დავამხეთ კაპიტალიზმი და ხელისუფლება ჩვენს, ხალხის ხელშია, ჩვენ გვაქვს სამშობლო და ჩვენ დავიცავთ მის დამოუკიდებლობას, და თუ არ გვინდა, რომ ჩვენი სამშობლო დამარცხდეს და დაკარგოს დამოუკიდებლობა, საჭიროა უმოკლეს ვადაში მოვახდინოთ მისი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. განვავითაროთ ნამდვილი ბოლშევიკური ტემპი სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის დარგში“,** – განაცხადა სტალინმა.

სტალინმა არა მარტო რუსეთის სახელმწიფოებრიობის, პატრიოტიზმის განცდა დაამკვიდრა, არამედ სერიოზულად გაილაშქრა ბოლშევიზმის პირველ დეკადაში წარმოშობილი თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ – რუსული ენის დაკნინებასთან დაკავშირებით. იმ პერიოდში ბევრი მიიჩნევდა, რომ რევოლუციური პროლეტარიატის საერთაშორისო ენა ხელოვნური უნდა ყოფილიყო, რომელიც 1887 წელს ლ. ზამენგოფმა შექმნა ლათინური გრაფიკის, ევროპული ენების გრამატიკა-ლექსიკის ელემენტების გამოყენებით. ესპერანტოს ფართო რეკლამას უწევდნენ, როგორც მარტივ, ლოგიკურ, მოქნილ, სასიამოვნოდ ჟღერად ენას, ამასთანავე ნეიტრალურს ყველა ეროვნულ ენასთან მიმართებაში. ესპერანტისტებთან პარალელურად სხვა სამეცნიერო ჯგუფებიც მუშაობდნენ, რომლებიც დაბეჯითებით ამტკიცებდნენ ლათინურ ალფავიტზე გადასვლის აუცილებლობას, როგორც რუსულის, ისე ქართულის, სომხურის, ებრაულისთვის. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ოცნებობდნენ მთელი კაცობრიობისათვის ერთი დამწერლობის შექმნაზე.

1929 წელს რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა რუსული ალფავიტის ლათინიზაციის საკითხი: „რუსული სამოქალაქო ალფავიტი ისტორიულად არის თვითმპყრობელური, რუსული ნაციონალ-შოვინიზმით გაჟღენთილი. ის აგრძელებს ნაციონალურ-ბურჟუაზიულ დიდრუსულ იდეოლოგიას და ხელს უშლის ლათინიზაციის საქმეს, ისე, როგორც ებრაული, სომხური, ქართული“, აღნიშნული იყო დოკუმენტში. „კულტურა და დამწერლობის“ მეექვსე გამოცემაში ეწერა: თანამედროვე რუსული ალფავიტი არ შეესაბამება თავისი შინაარსით რუსულ სოციალისტურ კულტურას. საჭიროა თანამედროვე გრაფიკაზე გადასვლა. ლათინური გრაფიკა, ისე, როგორც თანამედროვე ადამიანის თვალის და ხელის ფიზიოლოგია, უფრო შეესაბამება თანამედროვე ტექნიკას, ვიდრე რუსული ალფავიტის გრაფიკული ფორმა“. ახალი ალფავიტის შემოღების მომხრე იყო განათლების მინისტრი ლუნაჩარსკი, რომელიც იხსენებს ლენინთან საუბარს: „თუ ჩვენ ახლა არ დავიწყებთ საჭირო რეფორმას, ძალზე ცუდი იქნება. ისე, როგორც მეტრულ სისტემაზე და გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლისას ჩვენ უნდა ვაღიაროთ შემორჩენილი ძველის გაუქმება“. ამბობდა ლენინი, თუმცა მიიჩნევდა, რომ ამ საკითხში აჩქარება არ ივარგებდა“. რაც შეეხება დანარჩენ ბოლშევიკ ბელადებს ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, ბუხარინს და მათ თანამებრძოლებს, ისინი ამტკიცებდნენ, რომ სოციალიზმის გამარჯვების დროს უნდა მოხდეს ენების ერთმანეთთან შერწყმა, ერთ საერთო ენად ჩამოყალიბება.

**დღეს უკვე ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის (ილიას უნივერსიტეტი) რექტორი მოგვიწოდებს ინგლისურის მშობლიურად მიღებას. ინგლისური დომინირებს ყველგან. მისი ცოდნა აუცილებელია დიპლომის მიღების დროს. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს უცხოელი ინგლისური ენის მცოდნენი შეესივნენ. განათლების მინისტრის გახარებულია იმით, რომ ახალგაზრდათა უდიდესი უმრავლესობა ინგლისურს „აღმერთებს“. ინგლისურიზაციის გახელებულმა კამპანიამ ბოლშევიკთა მმართველობის პირველი დეკადის აღვირახსნილობასაც გადააჭარბა.**

**რუსული ენის აღორძინებას უდიდესი ბიძგი მისცა სტალინის კარნახით 1933 წელს ხელისუფლების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების ლათინური დამწერლობიდან კირილოცაზე გადასვლის თაობაზე. კომისიის წევრის ნიკო მარის დაჟინებული მოთხოვნით ქართული და სომხური ალფავიტები გადაურჩა ცვლას. 1937 წელს სკკპ ცკ პლენუმის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის ყველა სკოლაში რუსული ენის სწავლა მეორე კლასიდან სავალდებულო გახდა, მაგრამ ამას არ გამოუწვევია მშობლიური ენების დეგრადაცია. სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მეცნიერებათა აკადემია, კულტურა, ხელოვნება, სახელმწიფო დაწესებულებები და სხვა მრავალი მშობლიურ ენაზე მეტყველებდა და არავის უფიქრია მისი რუსულით ჩანაცვლება.**

14 აპრილს საქართველომ ტრადიციულად აღნიშნა დედაენის დღე. ქართულმა ინტელიგენციამ თავდაჯერებით და მისთვის ჩვეული პათოსით ილაპარაკა საკუთარ გმირობასა და პატრიოტიზმზე – 1978 წელს, კონსტიტუციის მიღების დროს გამოვლენილზე. გაიხსენა კონსტიტუციის მიღების პერიპეტიები, უმაღლესი საბჭოს სხდომა, უნივერსიტეტიდან დაძრული პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მრავალრიცხოვანი კოლონა, მთავრობის სახლის, ამჟამინდელი პარლამენტის წინ ხმამაღალი შეძახილები მშობლიური ენის შენარჩუნებისათვის. ითქვა მთავარზეც – როგორ ართმევდა კრემლი ქართველებს მშობლიურ ენას. ქართული საზოგადოება დღესაც დარწმუნებულია საქართველოს მაშინდელი პირველი პირის მიერ დადგმული სპექტაკლის ავთენტურობაში. **მისთვის მთავარია ერთი „სიმართლე“ – თუ როგორ ართმევდა დედაენას რუსი ქართველს და ამ უთანასწორო ბრძოლაში, როგორ გაიმარჯვა ქართველმა. არადა სინამდვილე სრულიად განსხვავებული და გულდასაწყვეტია, ვინაიდან „ნიჭიერი“ რეჟისორის ხელში მაშინდელ ქართულ საზოგადოებას „მასოვკის სცენებში“ ბრიყვის როლის განსახიერება ხვდა წილად. სინამდვილე დიამეტრიულად განსხვავდება იმისგან, რაც საზოგადოებამ იცის.**

**კონსტიტუციის პროექტის ტექსტი, რომელიც შესათანხმებლად იყო წაღებული მოსკოვში, არ შეიცავდა იმას, რამაც ვნებათაღელვა გამოიწვია. ქართულის სახელმწიფო ენობა თბილისში იქნა ამოღებული. ძველის და ახლის (კონსტიტუციების) შედარების დროს, როდესაც მოსკოველმა იურისტებმა და მაღალჩინოსნებმა ყურადღება გაამახვილეს უხერხულ ცვლილებაზე და მოუწოდეს საქართველოს წარგზავნილებს, დაბრუნებოდნენ ძველ ვარიანტს – საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის გარეშე ვერ შევცვლითო, – იყო პასუხი ქართველი წარგზავნილებისგან.**

14 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა – სატელევიზიო მინი დარიგებით, რომელიც მან თავის ხელქვეითებს მისცა ქართული ენის დაცვა-განვითარებისათვის. ეს კეთილი ჟესტი მოჩვენებითი სახის მატარებელია მხოლოდ. სინამდვილე კი სხვაა, ერთობ შემაშფოთებელი, დასაფიქრებელი. **დღეს უკვე ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის (ილიას უნივერსიტეტი) რექტორი მოგვიწოდებს ინგლისურის მშობლიურად მიღებას. ინგლისური დომინირებს ყველგან. მისი ცოდნა აუცილებელია დიპლომის მიღების დროს. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს უცხოელი ინგლისური ენის მცოდნენი შეესივნენ. განათლების მინისტრიც გახარებულია იმით, რომ ახალგაზრდათა უდიდესი უმრავლესობა ინგლისურს „აღმერთებს“. ინგლისურიზაციის გახელებულმა კამპანიამ ბოლშევიკთა მმართველობის**

**ქართულ ენას დღეს სჭირდება დაცვა, დღეს სჭირდება დემონსტრაცია, დღეს სჭირდება პატრიოტული შეტევა ნებისმიერ დაწესებულებაში, ბიზნესში და ნაცვლად იმისა, რომ ამას ვაკეთებდეთ, ყოყოჩობით ვიხსენებთ, რა მაგრები ვიყავით 1978 წელს.**

**პირველი დეკადის აღვირახსნილობასაც გადააჭარბა.**

**ქართული საზოგადოება უკვე შეეგუა ხელისუფალთა კაპრიზებს, უფრო სწორად ალღო აუღო მას და ისე, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, ჩვილ ბავშვებს თავი უკრა ინგლისურ-ამერიკულ ბაგა-ბაღებში, სადაც ინგლისურად მოლაპარაკე ქართველი მასწავლებლები ერთმანეთში ქართულად მოლაპარაკე ბავშვებს, მკაცრად დასჭყივიან – „დონტ სპიკ ჯორჯენ, სპიკ ინ ინგლიშო“! ნუ ლაპარაკობთ ქართულად, ინგლისურად ილაპარაკეთო, და ეს 2-3 წლის ბავშვებს, რომლებიც მშობლიურ ენაზე ძლივს მეტყველებენ. ქართველები პრაგმატული აზროვნებისანი ვართ – ინგლისური ენის მცოდნეს ნაკლებად გაუჭირდება უცხოეთში მოხუცთა და დავრდომილთა მოვლა-პატრონობა, მათთვის უკანალის წმენდა. თვალი შეავლეთ ქართულ ტელეგადაცემებს – ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ არაფერი გესმით, ვინაიდან წინადადებები ინგლისური სიტყვებითაა დახუნძლული.**

**ქართულ ენას დღეს სჭირდება დაცვა, დღეს სჭირდება დემონსტრაცია, დღეს სჭირდება პატრიოტული შეტევა ნებისმიერ დაწესებულებაში, ბიზნესში და ნაცვლად იმისა, რომ ამას ვაკეთებდეთ, ყოყოჩობით ვიხსენებთ, რა მაგრები ვიყავით 1978 წელს.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ვაი მთავრობისგან

# რუსეთმა ენერგეტიკულადაც დაგვიპყრო



## ხელისუფალთ საკუთარი სინდისის გაყიდვა გაუჭირდათ, თორემ თავად ქვეყანა სულ თავჩლიქიანად გადაახურდავეს

**თავის დროზე ზონზროხა ბენდუქიძემ შესანიშნავად იცოდა რასაც გულისხმობდა, როცა აცხადებდა: საქართველოში ჩვენ ყველაფერი უნდა გავყიდოთ, გარდა საკუთარი სინდისისაო. არხეინად იყავით, ეკონომიკის მამად აღიარებულ მინისტრს არაფერი ეშლებოდა, რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ ფულის ტომარას სინდისის ნატამალიც აღარ ჩამოჰყოლია და რაც არა ჰქონდა რაღას გაყიდდა? ამიტომაც მისდგა ისედაც ტყავგამძვრალ ქვეყანას და საკუთარი დეფიციტური ნამუსის ხარჯზე, რაც ხელთ მოხვდა, ყველაფერი ფულად აქცია. არც მიწას მოერიდა, არც მდინარეს, არც საუკუნეობით შექმნილ-ნალოლიავებ ეროვნულ სიმდიდრეს და საზღვარგარეთელ „პარტნიორებთან“ სარფიანი აღებ-მიცემობა გააჩაღა. მაგრამ მარტო ბენდუქიძე, მიუხედავად თავისი გოლიათური აღნაგობისა, ამდენს რას მოერეოდა, დატრეული სიმდიდრის გადანაწილება-მონელებაში საქართველოს ხელისუფლება გვერდში რომ არ ამოდგომოდა?!**

ჩვენი მსუნაგი მთავრობის ამბავი რომ მოგეხსენებათ, ბენდუქიძეს მხარი მისცა კი არა, მგონი მისი მონაგარიდან იმაზე მეტიც დაითრია, რაც „მეწილეობის კანონით“ დადგენილი ნორმატივით ეკუთვნოდა. მერე ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო,მთავრობას კუჭი გაუღიზიანდა და ბენდუქიძის დაკავებული პოსტიდან გაბუნძულების შემდეგ ჭამას უფრო მოუმატა. ამიტომაც მცირედს აღარ სჯერდება და სტრატეგიულ ობიექტებს დაერია, თანაც ისეთებს, როგორიც, ვთქვათ, ენგურჰესია, რომელიც ქვეყნის მთლიანი ელექტროენერგიის თითქმის ნახევარს გამოიმუშავებს და რომელსაც ფაქტობრივად რუსული კომპანია მართავს. მაგრამ რომელი კომპანია, რა ვადით და რა თანხის ფასად მართავს, ეს ყველაფერი ისეა გასაიდუმლოებული, რომ ამ ცხრაკლიტულის გასაღები დღემდე ვერაკაცმა ვერ მოიძია. თვით პრეზიდენტ სააკაშვილსაც კი, რომელსაც სალაპარაკო მუხრუჭი ყოველთვის მოშლილი აქვს, ამის თაობაზე კრინტს ვერავინ დააძრევინებს. არადა თავის ყოველდღიურ გამოსვლებში, საზღვარგარეთის პოლიტიკურ წრეებში იქნება ეს თუ ადგილობრივ საბავშვო ბაღებში, ისე სიტყვას არ დაასრულებს, რუსეთი ქვეყნის პირველ მტრად არ მოიხსენიოს. იმას კი აღარ ამბობს, ამ ჩვენმა „დაუძინებელმა მტერმა“ საქართველოს ხელისუფლების წაყრუებისა თუ „კეთილი ნების“ წყალობით, ქვეყანა ტერიტორიულთან ერთად ენერგეტიკულადაც როგორ დაიპყრო.

ვამბობ დაგვიპყრო-მეთქი, მაგრამ ცოტა არ იყოს, მეუხერხულება, რადგან ნაღდად ვიცი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული დანიშნულების ენერგეტიკული ობიექტები, მისივე თქმით, „ოკუპანტ რუსეთს“ ბომბის ჩამოუგდებლად, თამასუქით ხელში მიართვა. **ამის დასტურად მარტო იმის თქმაც კმარა, რომ რუსულ „ინტერ-რაოს“, რომელიც კომპანია „თელასის“ 75-პროცენტიანი წილის მფლობელია, იოლად მოგდებული მსხვილი ლუკმა არ აკმარა და დამატებით ამ დღეებში ჰესები „ხრამი-1“ და „ხრამი-2“-იც მიაყოლა. აღარაფერს ვამბობ სხვა ენერგოობიექტებზე, რომლებსაც რუსები ადრევე დაეპატრონნენ.**

მაინც რატომ აიყარა გული მთავრობამ „ხრამჰესებზე“, არ გაინტერესებთ? იქნებ იმიტომ, რომ ჰესები ამორტიზებული იყო, სარეაბილიტაციოდ დიდ ხარჯებს მოითხოვდა, ჩვენს გაჭირვებულ ბიუჯეტს კი საამისო თანხები არ გააჩნდა? სახსრები რომ თავზე არ გადაგვდის, ეს ყველამ იცის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ახლო წარსულში დასახელებული ჰესების რეაბილიტაციაზე საკმაო თანხები დაიხარჯა. თავად ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, შარშან „ხრამი-2“-ს კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა, კერძოდ, დაიდგა მოდერნიზებული იტალიური ტურბინები, თანამედროვე ელექტრომოწყობილობები და სხვა საშუალებები, რამაც ჰესების ოპერირების ხარისხი და გამომუშავებული ენერგიის მოცულობა მნიშვნელოვნად გაზარდა. გამართულად მუშაობის პირობებში ორივე ჰესის ჯამური გამომუშავება 650 მეგავატამდე გაიზრდებოდა და დედაქალაქის მოთხოვნას ელექტროენერგიაზე სანახევროდ თუ არა მესამედით მაინც დააკმაყოფილებდა.

ჰოდა თუკი ასეთი პერსპექტივა გვქონდა (ჰესებს თბოელექტროსადგურებთან მიმართებაში პერსპექტივა არასდროს აკლიაძ, ვინ აიძულა ხელისუფლება, ეს მომგებიანი საქმე რუსებისთვის გადაელოცა? **სრულიად გაუგებარია ენერგეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის აღფრთოვანება, რომელიც აცხადებს, რომ ჰესების გასხვისების ხელშეკრულება ქართული მხარისთვის მომგებიანია როგორც ეკონომიკურად, ისე ტექნიკურადო.** ამას იმით ასაბუთებს, რომ 13 წლის შემდეგ შესაძლოა, ჰესები ჯართად ქცეულიყო, ახლა კი „ინტერ-რაო“ მოვალეა, ინვესტიცია გაიღოს და ჰესებს მოუაროსო.

რატომ მაინცდამაინც 13 წლის და არა 15 წლის შემდეგ? როგორც მინისტრი განმარტავს, რუსულ მხარესთან ძველი ხელშეკრულება 25 წლით ყოფილა გაფორმებული და მას ვადა 2024 წელს ეწურებოდა. ჰოდა მოასწრეს ხელშეკრულების „გაახალგაზრდავება“, თორემ ვილუპებოდით, რუსეთი ჰესების გასამართავად ხელს არ გაანძრევდა და ისინი ჯართადაც აღარ გამოდგებოდა(!ძ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართველ ხელისუფალთა უთაურობაზე. **ჯერ ერთი ირკვევა, რომ ძველი ხელშეკრულება ჩვენ საზიანოდ იყო შედგენილი, რადგან ის რუსებს ჰესების შენახვასა და მოვლას არ ავალდებულებდა. და მეორეც, თუ ახალი ხელშეკრულების დადებასა და ჰესების მიყიდვას ვაპირებდით, მაშინ „ხრამი-2“-ის რეაბილიტაციაზე ამდენი თანხები ტყუილუბრალოდ რატომღა გავისროლეთ?**

თუ არ გამცემთ, ჩვენთვის ერთ „სასარგებლო“ საიდუმლოს კიდევ გაგანდობთ. თითქოს დავიწყებული ამბავია, მაგრამ ცნობილია, რომ „ხრამჰესების“ რეაბილიტაციისთვის საქართველოს მთავრობამ იაპონიისგან 50 მილიონი დოლარის კრედიტი ჯერ კიდევ 15 წლის წინათ აიღო. გარდა ამისა, „ხრამი-2“-ის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან დამატებით 11 მილიონ ლარამდე დაიხარჯა. **ამის შემხედვარე, გინდა თუ არ გინდა, ძალაუნებურად იფიქრებ, რომ ეს თანხები რუსი დისტრიბუტორების სასარგებლოდ დაიხარჯა. ამის მიუხედავად, „ინტერ-რაო“, რომელიც „თელასის“ 75-პროცენტიანი წილის მფლობელია, ოდნავადაც არ დაუნამუსებია, მას გამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაციაში ჩადებული ინვესტიცია, მათ შორის „ხრამჰესებისთვის“ გახარჯული თანხები დენის ტარიფში აქვს შეტანილი და გაზრდილ საფასურს მოსახლეობას ურცხვად სძალავს. იმედია, რუსული კომპანია იმ ხარჯებსაც, რაც ახალი ხელშეკრულებით აღნიშნული ჰესების შენახვაზე უნდა დახარჯოს, ისევ დენის ტარიფის მორიგი გაზრდით გადაფარავს.**

ქვეყნის გაძვალტყავებული მოსახლეობისთვის ასეთ „შეღავათებს“ ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური იმით ხსნის, რომ თურმე „საქართველო-რუსეთს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის მიუხედავად, ქართულ და რუსულ კომპანიებს შორის ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობები არსებობს“(!ძ. აბა როგორ, ამ სიჯანსაღით აიხსნება, რომ „თელასის“ გარდა „ინტერ-რაოს“ მმართველობაშია შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ (იგივე გარდაბნის მე-9 ენერგობლოკიძ“, ენგურისა და ჟინვალის ჰესები, რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის 500-კილოვატიანი ხაზი და ჩეხური კომპანია „ენერგო-პროც“ კი, რომლის უკანაც ისევ და ისევ რუსები მოიაზრებიან.

**თუმცა პრეზიდენტი სააკაშვილი ამ ყველაფერს დღევანდელი ხელისუფლების მიღწევად აღიქვამს, მთავარია, რომ ხალხი ბნელში აღარ ზის, ტელესერიალების ყურებით ერთობა და იმას რა მნიშვნელობა აქვს, ენერგეტიკული ობიექტები, რომლებსაც ქვეყანაში გადამწყვეტი სტრატეგიული როლი ეკისრებათ, ვის მფლობელობაშია.**

**ფაქტობრივად ეს არა მარტო სააკაშვილის, მთელი ნაცბანდის ეროვნული დანაშაულია, რაზეც მათ ხალხი პასუხს გარდუვალად აგებინებს.**

ოთარ ხუციშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტი

# ცვლილებები ინფლაციის ფონზე

(მეოთხე გვერდიდან)

თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კლების ან მომატების მიმართულებით ცვლამ წლების მანძილზე, ფაქტობრივად, ქრონიკული ხასიათი მიიღო, სავსებით სამართლიანი იქნება იმის ფიქრი, რომ ყოველივე არაკვალიფიციურად განსაზღვრული ეკონომიკური მაჩვენებლების შეცვლის აუცილებლობას და ბოლომდე გაუაზრებელი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას უკავშირდება. ამის დასტურად, ექსპერტები, კერძოდ, ეკონომიკის პრობლემათა კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი დავით ნარმანია ისეთ მაგალითს იშველიებს, როგორიცაა რომელიმე მსხვილი სახელმწიფო უწყების (ვთქვათ, იმავე ყბადაღებული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელ მუშაკთა ლამის მთელი შემადგენლობა კორუფციის ბრალდებითაა პასუხისგებაში მიცემული, მაგრამ რომლის მინისტრი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ილებდა უზარმაზარ პრემიებსძ რეორგანიზაცია საფინანსო წლის შუაში იწყებს და მერე, კაცმა არ იცის, ფულს ვინ და როგორ ხარჯავს, ანდა შემდგომ ანგარიში ვის უნდა მოკითხო. იგივეს თქმა შეიძლება ევრობონდების გამოშვებასთან დაკავშირებით, რომლებიც ასევე წლის შუა პერიოდში განათავსეს საერთაშორისო ბაზარზე და შემდეგ ბიუჯეტში უმალ შესწორებები შეიტანეს, რაც მთავრობის საფინანსო პოლიტიკას სრულიად არაპროგნოზირებულს ხდის. განა რა დიდი მტკიცება სჭირდება იმას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი თავიდანვე უკიდურესი სკრუპულოზობით უნდა იყოს გაწერილი და ეს კანონი (კანონი!ძ მაქსიმალურად ზუსტად უნდა სრულდებოდეს. გაუთავებელი ცვლილებები კი მთელ ბიუჯეტს თუ არა, მის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს „ამღვრევს“, რაც



ხარჯვის პროცესს ძალიან ნაკლებად გამჭვირვალეს ხდის.

ფაქტობრივად გამოდის, რომ როცა ბიუჯეტში სავარაუდო პარამეტრები (ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს თავდაპირველად გათვლილზე დაახლოებით ორჯერ მეტი ინფლაციაძ სინამდვილეს არ ემთხვევა, რაც, ამჟამად, შემოსავლის ზრდას იწვევს და, ბუნებრივია, რომ ეს პროცესი მის ხარჯვით ნაწილშიც აისახოს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ პრაქტიკაში მიღებულია, რომ თუკი ბიუჯეტი სამზე მეტ კორექტირებას მოითხოვს, ეს მისი დაგეგმვის აშკარა სისუსტის ნიშანია. ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს აუცილებლად გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ საქართველოს, რომლის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი პარამეტრები დიდადაა დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე, მაგალითად, საგარეო ვალის მომსახურებაზე, გრანტებზე, რომელთა ოდენობა და მიღების დროს დაგეგმვის პროცესში ცნობილი არ არის, ცვლილებები და შესწორებები ალბათ, გარდუვალი „ჭირია“. მაგრამ წლევანდელი ბიუჯეტის ცვლილებების უმთავრესი გამომწვევი მიზეზია ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობის ევროობლიგაციების განთავსებით მიღებული თანხა, რომლითაც წინათ აღებული ვალი დაიფარება, ხოლო ახლანდელის გასტუმრება ათი წლის შემდეგ მოგვიწევს.

თუმცა, თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ ბიუჯეტის შეცვლის უმთავრესი მიზეზია მოსალოდნელზე მაღალი ინფლაციის დონე და, ნაწილობრივ, ადმინისტრირების გამკაცრება.

ოთარ ტურაბელიძე

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ ჟურნალისტური გამოძიება



# დანაშაულისთვის პასუხი კი უნდა აგონ, მაგრამ...

## ისევ „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ ვაიგზის გამო

**პატივცემულო მკითხველო, ვიმედოვნებთ, რომ წაკითხული გექნებათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული მასალები „გზის მშენებლობა სააკაშვილისებურად, (2011 წ. 23.03)“, „სააკაშვილის ეგრეთ წოდებული „გატაცების პროექტები“ და „ქარს გატანებული მილიონები“, (2011 წ. 08.04), რომლებშიც აღწერილია „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ჩვენი სააგენტოს მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგები. დღეს გთავაზობთ მორიგ მასალას.**

### მცირე ექსკურსი

**ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი-მკვლევარი-გეოლოგი, რუსეთის აკადემიის წევრი ვილჰელმ აბიხი აღნიშნავდა, რომ გომბორის თიხოვანი ულელტეხილი ძალზე აქტიური და ძლიერი მეწყრის ზონაა და მის გასწვრივ გზის მშენებლობა დაუშვებელია, ხოლო თუ იგი მაინცდამაინც უნდა გავიყვანოთ, ეს აუცილებლად ხსენებული ზონის გვერდის ავლით უნდა მოხდეს.**

სხვა შემთხვევაში, მისი მტკიცებით, ამ გზაზე გამუდმებით იქნება მეწყრის წარმოშობის საშიშროება, რის შედეგად გზის ექსპლუატაცია არა მარტო გაჭირდება, არამედ მუდმივ და მნიშვნელოვან კაპდაბანდებასაც მოითხოვს.

გომბორის ულელტეხილს მიუძღვნა 1970-იან წლებში გამოქვეყნებული თავისი მონოგრაფიის ერთ-ერთი ნაწილი ცნობილმა ქართველმა გეოლოგ-ჰიდროლოგმა, აკადემიკოსმა ირაკლი ბუაჩიძემ.

თავის დასკვნებში იგი ეყრდნობოდა ამ ულელტეხილის მიწის გრუნტზე მაშინ ჩატარებულ მრავალ ლაბორატორიულ კვლევას. მისი დასკვნა ერთი საუკუნის წინათ აკადემიკოს აბიხის მიერ გამოთქმული მოსაზრების იდენტური იყო.

ყოველივე ამის მიუხედავად, 1970-იან წლებში მწყობრში შევიდა საავტომობილო გზა „ვაზიანი-გომბორი-თელავი“, რომლის გომბორის ულელტეხილზე გამავალი ნაწილი ე.წ. თეთრი გზა, ანუ ღორღიანი ზედაპირისა იყო.

ამიტომაც ყოველი წვიმის დროს წარმოშობილი მეწყრის გამო საავტომობილო გზის გომბორის მონაკვეთის საძირკველი ქვევით იწევდა, იმ დროის შესაბამისი სახელმწიფო უწყების მესვეურთა პირადი ჯიბისთვის განკუთვნილი შემოსავალი, რომელსაც სტაბილურად ჰქონდა ე.წ. „საქმე“ აღდგენითი სამუშაოების გამო, სულ უფრო მატულობდა. ანუ იქაურ მაღალჩინოსნებს და მათს ხელქვეითებსაც იმ დროის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მუდამ ჰქონდათ სარფიანი უკანონო შემოსავლების ულევი წყარო.

თანამედროვე საქართველოში შეიცვალა რამე არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის უყაირათო ხარჯვის, არამედ იმავე სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების მითვისების აღსაკვეთად? სამწუხაროდ,

### არა და კიდევ – არა!

**„ვაზიანი-გომბორი-თელავის“ მშენებლობა-რეაბილიტაციის კრახში, რასაც მოჰყვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თითქმის 50 მილიონი ლარის არამიზნობრივი ხარჯვა, ჩვენი გამოძიების საფუძველზე, უწინარესად, ბრალი ედება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას.**

სწორედ მას, როგორც ხსენებული სამუშაოს დამკვეთს, უთუოდ უნდა სცოდნოდა, რომ გომბორის ულელტეხილის გავლით საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება ფულის წყალში გადაყრას ნიშნავს, რაც, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, დაუშვებელია.

ანუ 2008-2011 წლებში საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ ბოროტად გამოიყენა თანამდებობრივი უფლებამოსილება, რასაც მოჰყვა ზემოთ აღნიშნული ზარალი.

არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრება დამპროექტებელ შპს „ტრანსპროექტს“ (ხელმძღვანელი — ტალი ტალიაშვილი) და სხვებსაც, რომელთა შესახებ გვქონდა საუბარი ჩვენს ზემოაღნიშნულ რიგით მეორე პუბლიკაციაში.

### მეწყერს გატანებული გზა და... ფული!

**ამჟამად, რა მდგომარეობაშია ეს საავტომობილო გზა? ამის გასაგებად სპეციალურად დავათვალიერეთ იგი და...**

ამ გზის საულელტეხილო მონაკვეთზე ამ ბოლო დროს მოსულმა უხვმა ნალექებმა გაააქტიურეს მეწყრული პროცესები, რამაც, თავის მხრივ, დამეწყრილ ტერიტორიებზე მნიშვნელოვნად დააზიანა მიწის ვაკისი.

კერძოდ, გომბორის ულელტეხილის მიმდებარე უბნის ხუთ მონაკვეთზე დამეწყრილია 60-100 მეტრი სიგრძის გზა, 4 მეტრის სიგანის სავალი ზოლი კი მეწყერმა საერთოდ ჩაიტანა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აპრილსა და მაისში წვიმა, როგორც მეწყრის ხელშემწყობი მოვლენა, განსაკუთრებით ხშირია, უახლოეს ხანში გზის ხსენებულ მონაკვეთებზე დარჩენილი ერთი ზოლიც მოკლე დროში ჩამოიქცევა და საავტომობილო გზა სრულიად გაუვალი გახდება.

### სად არის გამოსავალი?

**დარგის წამყვანი სპეციალისტის აზრით, შექმნილ სავალალო მდგომარეობას ერთგვარად თავს დავაღწევთ, თუ ამ საავტომობილო გზის სავალ ნაწილს ხრეშის ფენით მოვაწყობთ, შევძლებთ მისი ღერძის გადაწევას მეწყრის მხრისკენ, ჩამოშლილი მიწის მასებს კი ბულდოზერებით მოვაცილებთ.**

მაგრამ ამ ტიპის გზაზე დაუბრკოლებლად იმოძრავებდნენ მხოლოდ ორხიდიანი მანქანები, მსუბუქი ავტომობილებისთვის კი ამგვარი მოხრეშილი და უსწორმასწორო გზა რთული და, ხშირ შემთხვევაში, გაუვალიც იქნებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტია დამკვეთისა და პროექტის ავტორის აშკარა და შეგნებული შეცდომა, რადგან ასეთ მონაკვეთებზე უსაფრთხოდ მოძრაობა შეუძლებელია მეტად ძვირადღირებული მეწყერსაწინააღმდეგო სპეციალური ნაგებობების გარეშე.

ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გომბორის საულელტეხილო მონაკვეთის კლდოვანი ქანები ძალიან ღრმადაა განლაგებული, ამ მოთხოვნების შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია. რჩება ერთადერთი გამოსავალი — საავტომობილო გზის მიმართულების ძირეული ცვლილება და ულელტეხილის გავლაზე უარის თქმა.

### რატომ აღმოჩნდა კრედიტი ჩვენთვის წამგებიანი?

**„ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები კრედიტის სახით დააფინანსა „მსოფლიო ბანკმა“. ერთი შეხედვით, ეს „კეთილი ნების კრედიტი“ საქართველოსთვის ძალზე სავალალო-ზარალიანი აღმოჩნდა.**

და ეს იმიტომ, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ორჯერ პომპეზურად გახსნილი ხსენებული გზა აღმოჩნდა უვარგისი და საშიში, რაც წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი როგორც ამ სამუშაოების დამკვეთისთვის (საავტომობილო გზების დეპარტამენტი) ისე პროექტის ავტორისთვის (შპს „ტრასპროექტი“).

ჩვენს ქვეყანას კი ამ კრედიტის გამო სამომავლოდ დიდძალი ვალი დაედო.

ამაში კრედიტის გამცემ „მსოფლიო ბანკსაც“ უნდა „ვუმადლოდეთ“, რომელმაც თავისი დებულების უგულებელყოფით არ გააკონტროლა კრედიტის ათვისების მიზნობრიობა, რითაც საქართველოს ხელისუფლებას მიზანმიმართულად შეუწყო ხელი ზემოთ აღნიშნულ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში, რომელი ქმედებაც სასიკეთოდ აისახა საქართველოს ხელისუფლების მმართველი გუნდის საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებაზე, მათი ოჯახების წევრთა ფუფუნებით, უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის კი ცხოვრების პირობები დღითი დღე უარესდება, რის გამოც ქვეყანაში სიღატაკე მატულობს.

### თუმც ვიცით, რომ არ შეისმენენ, მაგრამ...

**ისევ და ისევ შევახსენებთ მთავარი პროკურატურის (იუსტიციის მინისტრი — ზურაბ ადეიშვილი) და შსს (მინისტრი — ივანე მერაბიშვილი) ხელმძღვანელობას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261 და 263 მუხლების არსებობას.**

სწორედ ამ მუხლებით უნდა აღიძრას, თანაც დაუყოვნებლივ, სისხლის სამართლის საქმე თუნდაც ჩვენი სააგენტოს მიერ გამოძიებული ფაქტების საფუძველზე, რომლებიც უკავშირდებიან „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციას.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო
„დრო და სივრცე“

◉ ინფორმაცია

### შემოსავლების სამსახურის ახალი ინიციატივა

**შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, დღემდე არსებული პროცედურით, საწვავის ხარჯვის აღრიცხვისა და შემდგომ მისი ხარჯებში ჩამოწერის პრინციპი გართულებული იყო, რაც მეწარმეებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.**

**შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, რომ ახალი პროცედურით საკმარისია სულ რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვა:**

**1. მეწარმეს უნდა გააჩნდეს საწვავის შეძენის კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია;**

**2. საწვავი უნდა იქნას გაწერილი საწარმო საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ძირითად საშუალებებზე (როგორც ავტოსატრანსპორტო, ასევე სპეცტექნიკა)**

**3. მეწარმემ უნდა აღრიცხოს, თუ რომელ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე რომელი ტიპის და რა ოდენობის საწვავი გასცა.**

**საწვავის ხარჯებში ჩამოწერისათვის საკმარისია მეწარმემ თვეში ერთხელ მოახდინოს ოდომეტრის ჩვენების აღნუსხვა. აღარ არის სავალდებულო საწვავის ხარჯვის აღრიცხვის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების წარმოება.**

**ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლებისა და ოდომეტრის ჩვენების მიხედვით იანგარიშება გახარჯული საწვავის ოდენობა 20%-იანი დასაშვები ცდომილებით. ასევე გათვალისწინებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების სიძველე.5 წელზე უფრო ადრე გამოშვებული ტექნიკისათვის დასაშვები ცდომილებაა 25%.**

### ცათამბჯენების აშენების მსოფლიო ბუმმა გადაიარა

**ლონდონისა და ნიუ-იორკის სამშენებლო კომპანიები ცათამბჯენების აშენებაზე უარს აცხადებენ. ამის შესახებ Bloomberg-ი იტყობინება.**

**ბრიტანეთის დედაქალაქის წამყვანი დეველოპერები მაღალ შენობებს, მოგების სასარგებლოდ, მსხვერპლად სწირავენ. ნიუ-იორკი, რომელიც მომავალი წლისთვის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენის გახსნისთვის ემზადება, დეკადის ბოლომდე მხოლოდ რამდენიმე მაღალ შენობას ააშენებს.**

**„საკულტო ცათამბჯენთა შენების მანიამ უკვე გადაიარა, — ამტკიცებს ბრიტანელი არქიტექტორი კენ შატლვორფი. მისი თქმით, საჩვენებელი ბრწყინვალების ერა დასრულდა. ამასთან, მშენებელი კომპანიებისთვის უფრო მომგებიანია თანხები დაბალსართულიან შენობებში ჩადონ.**

**— დეველოპერებმა შედარებით იაფი და ნაკლებ ამბიციური პროექტების განხორციელება დაიწყეს, — აღნიშნავს Bloomberg-ი.**

**ერთი კვადრატული მეტრი ცათამბჯენის მშენებლობის ღირებულება ლონდონში 150 ევროთი მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი სიმაღლის შენობის. ექსპერტთა თქმით, ეს განსხვავება დამატებითი ხარჯებითაა განპირობებული, რაც სიმაღლის მისაღწევადაა აუცილებელი. კერძოდ, ცათამბჯენის აშენება განსაკუთრებულ საინჟინრო გადაწყვეტას მოითხოვს, რაც ძლიერი და ძვირადღირებული კარკასის აგებასაც გულისხმობს.**

**ამის გამო, კომპანიებს 500 ათასი კვადრატული მეტრის ცათამბჯენის აშენება ამავე ფართის ჩვეულებრივი სიმაღლის სახლთან შედარებით, 150 მილიონით მეტი უჯდება.**

**ანალიტიკოსებმა ცათამბჯენებზე უარის თქმის გადაწყვეტილება პატივმოყვარეობიდან საღ გადაწყვეტილებამდე გადადგმულ ნაბიჯად უკვე შეაფასეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საეკლესიო რევოლუცია პალმებქვეშ

**აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაში, როგორც ჩანს, ახალგაზრდების რევოლუცია მწიფდება. იგი მიმართული იქნება მღვდელ ბესარიონ აფლიას ხელისუფლების წინააღმდეგ, იგი არის აფხაზეთისა და სოხუმის ეპარქიის კლირიკოსი, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ თავი გამოაცხადა მართლმადიდებელი სამყაროს მიერ უღიარებელი აფხაზეთის ეკლესიის „მმართველად“.**

აქტივისტების ჯგუფმა 15 მაისისთვის დაგეგმა ეგრეთ წოდებული საეკლესიო-სახალხო კრება, რომელზეც ვარაუდობენ, ერთად გადაწყვიტონ საკითხი აფხაზეთის მართლმადიდებლობის მომავალზე. ღონისძიებაზე ელოდებიან რამდენიმე ათას კაცს – როგორც ადგილობრივ სასულიერო პირებს, ისე ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც. ორგანიზატორების აზრით, კრებამ უნდა შეაჩეროს აფლიას საქმიანობა, აგრეთვე მიმართოს მოწოდებით მოლაპარაკების შესახებ კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიებს. იქმნება ეკლესიათაშორისი კომისიაც.

აფხაზეთში შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ეპარქია, რომელიც კანონიკურად საქართველოს ეკლესიას ეკუთვნის, უარყოფს კლირიკოსებს, რომლებიც დაყენებული არიან პატრიარქის მიერ თბილისში. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ საეკლესიო სახალხო კრების ინიციატორები ცდილობენ, გამონახონ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, რისთვისაც აუცილებლად მიაჩნიათ, გაიმართოს დიალოგი ეკლესიებს შორის, რათა რესპუბლიკის მორწმუნეები გამოვიდნენ იზოლაციიდან, რასაც ადგილი აქვს ომის შემდეგ და რომელსაც სათავეში უდგას ბესარიონ აფლია.

რუსეთის ეკლესია სიტყვიერად ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს პატრიარქის კანონიკურ უფლებას ამ ეპარქიაზე, მაგრამ ზოგიერთი მოქმედება, ზოგჯერ კი უმოქმედობაც მოსკოვისა უპირისპირდება ამ პრინციპებს, რაც შეუმჩნეველი არ რჩებათ მორწმუნეებს აფხაზეთში. ამიტომ ისინი მოსკოვის საპატრიარქოდან ელიან უფრო პრინციპულ პოზიციას. ისინი ელოდებიან იმას, რომ თავად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ბოლოს და ბოლოს, აღიარებს აფხაზეთის მორწმუნეთა უფლებას, არ მიიღონ თავიანთ მიწაზე ქართველი ღვთისმსახურები, ორი ხალხის დაპირისპირების მძიმე მემკვიდრეობის გათვალისწინებით.

პროტესტის კატალიზატორად იქცა ახალი ათონის მონასტერში ახალი წინამძღვრის დანიშვნა. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, 31 მარტს სავანეში ჩამოვიდა იღუმენი ეფრემი (ვინოგრადოვი) და გამოაცხადა წინამძღვრად თავისი დანიშვნისა და ამ პოსტიდან ბერ ანდრეის შეცვლის შესახებ. სავანის ბერებმა და ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებმა იღუმენი ეფრემი, მოსკოვის საპატრიარქოს ღვთისმსახური, მიიჩნიეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დანიშნულად და 4 აპრილს შეიკრიბნენ თათბირზე, სადაც გამოვიდნენ თავისი წინამძღვრის წინააღმდეგ.

ფორმალურად იღუმენი ეფრემი დანიშნა სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქიის საბჭომ. ამ დროს 6 აპრილს ეპარქიის საბჭომ მიმართა მორწმუნეებს, რომელშიც იტყობინებოდნენ, რომ იღუმენ ეფრემის კანდიდატურას მხარი დაუჭირა მოსკოვის პატრიარქმა: „მიმდინარე წლის 16 მარტს მამა ბესარიონი და მამა ეფრემი მიიღო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილმა, რომელმაც დააკმაყოფილა აფხაზეთის სამღვდელოების თხოვნა და დალოცა იღუმენი ეფრემი აფხაზეთში სამსახურისთვის“. დოკუმენტში სწორედ ამ ადგილმა გააღიზიანა ისინი, ვინც ახალი წინამძღვრის წინააღმდეგ გამოდიოდა, რაც წარმოადგენდა თითქოს მოსკოვის საქმიანობას კანონიკური წესების გვერდის ავლით.



როგორც საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან, სიტუაციას ყურადღება მიაქცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რომელიც აპრილის დასაწყისში რამდენჯერმე შეეცადა, დაკავშირებოდა ტელეფონით პატრიარქ კირილს. მაგრამ ერთმანეთთან საუბარი ორი მოძმე ეკლესიის ხელმძღვანელმა გაურკვეველი მიზეზის გამო ვერ შეძლო. მაშინ კათოლიკოსმა მიმართა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო-საეკლესიო კავშირის განყოფილების ხელმძღვანელს მიტროპოლიტ ილარიონს, რომელმაც მას განუცხადა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას არანაირი დამოკიდებულება არ გააჩნია ახალ ათონში მომხდარ მოვლენებთან. ამის შემდეგ საქართველოს საპატრიარქო გამოვიდა განცხადებით, რომ მოსკოვს იღუმენი ეფრემი ახალი ათონის წმინდა მოციქულის სიმონ კანანელის მონასტერში არ გაუგზავნია. მაგრამ საპროტესტო ჯგუფის წარმომადგენლები გაოცებული არიან, თუ თავად მოსკოვის საპატრიარქომ რატომ არანაირი ოფიციალური განცხადება არ გააკეთა ამ მეტად მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით, თანაც მაშინ, როდესაც სიტუაციაში ჩართული არიან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები.

15 აპრილს გაიმართა აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის სხდომა, რომლის მონაწილეებმაც მიმართეს აფხაზეთის სასულიერო პირებს წინადადებით, გააუქმონ ბიჭვინთისა და სოხუმის ეპარქიის საეკლესიო საბჭოს გადაწყვეტილება იღუმენ ეფრემის დანიშვნისა და თანამდებობიდან ანდრეის გათავისუფლების შესახებ. როგორც სოხუმში გათვითცნობიერებული წყაროები იტყობინებიან, ბესარიონ აფლია საზოგადოებრივი პალატის სხდომაზე არ ყოფილა.

ამ დღეებში ორივე მხარე მობილიზაციას უკეთეს თავიანთ მომხრეებს: ერთნი – რომ გამართონ საეკლესიო-სახალხო კრება 15 მაისს, მეორენი – რათა ეს კრება ჩაშალონ. როგორც უნდა ვითარდებოდეს მოვლენები, აფხაზეთის მართლმადიდებლობაში წარმოიქმნა აშკარად კრიზისული სიტუაცია.

რესპუბლიკის მართლმადიდებელ მორწმუნეებს არ სურთ, კვლავ იმყოფებოდნენ იზოლაციაში მართლმადიდებელი სამყაროსგან. მათ სურთ, იყონ აღიარებული ყველა მართლმადიდებელი ეკლესიისგან. ამავე დროს ადგილობრივი მართლმადიდებელი საზოგადოებრიობა არ არის მზად მღვდელმსახურების მიღებისთვის არც საქართველოდან, არც რუსეთიდან. რესპუბლიკაში გაიზარდა მღვდელმსახურების მთელი თაობა, ეროვნებით აფხაზებისა,რომლებიც 90-იან წლებში ახალგაზრდები იყვნენ და არ შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ სიტუაციაზე საეკლესიო ცხოვრებაში. განვლილ წლების განმავლობაში მათ მიიღეს კარგი განათლება სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებელ სასულიერო სკოლებში, შეიძინეს მსახურების გამოცდილება მონასტრებსა და ეკლესიებში, როგორც მოსკოვის საპატრიარქოში, ისე იმ ეკლესიებში, სადაც ბერძნული ტრადიცია დომინირებს.

წარმოქმნილი დაპირისპირების მოტივებში დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს აფხაზეთის წმინდა ადგილების კუთვნილების შესახებ. სავანეებში შენდება სამლოცველო ცენტრებში, იქმნება სხვა ინფრასტრუქტურა, რომლის მიკუთვნების პრობლემა ჯერჯერობით არავის მოუხსნია დღის წესრიგიდან.

ყურადღებას იმსახურებს ის ვითარება, რომ ახალი ათონის მონასტერში კრიზისი გაჩაღდა რესპუბლიკის პრეზიდენტის თურქეთში ვიზიტის ფონზე, სადაც სერგეი ბაღაფში შეხვდა მუსულმანურ აფხაზურ დიასპორას. მართლმადიდებელ საზოგადოებრიობას ეშინია რესპუბლიკაში ისლამის გავლენის ზრდისა და ესეც არის ბიძგი აქტიური მოქმედებებისთვის.

როგორც ჩანს, სწორედ ახლა აფხაზი მართლმადიდებელი მღვდელმსახურების ახალმა თაობამ, რომელთაგანაც ბევრი ამჟამად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაა, იგრძნო ძალები, რათა გადაწყვიტოს აფხაზეთის მართლმადიდებლობის ბედი და ამასთან ერთდროულად ის მდგომარეობაც, რომელშიც აღმოჩნდა ამჟამინდელი საეკლესიო ხელმძღვანელობა.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# აფხაზეთი რუსებს კარგავს

**მოსკოვში ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა საზღვარგარეთ მცხოვრები რუსი თანამემამულეების მსოფლიო საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. მიმდინარე წლის ოქტომბრისთვის დანიშნულია თანამემამულეთა მსოფლიო კონფერენცია და ამასთან დაკავშირებით რუსი სათემოების დელეგაციები სხვადასხვა ქვეყნიდან რუსეთის ხელისუფლებასთან ერთად განიხილავენ თავიანთ პრობლემებსაც.**

ამ დროს, სწორედ ამ დღეებში ჩვენი რედაქციის ხელში აღმოჩნდა საინტერესო დოკუმენტი. იგი დაწერილია ანალიტიკური ჩანაწერების სახით და გათვალისწინებულია სახელმწიფო დუმისთვის, ფედერალური საბჭოს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის. ჩვენ არ შეგვიძლია მისი ავტორების დასახელება, მაგრამ ესენი არიან ის ხალხი, ვინც ცხოვრობს აფხაზეთში და იცნობს სიტუაციას „შიგნიდან“. დოკუმენტის ძირითადი პათოსია: ოფიციალური სოხუმი განგებ დუმს სერიოზულ პრობლემებზე, რომლებსაც აწყდება რუსული სათემო ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის მიერ აღიარებულ რესპუბლიკაში.

„აფხაზეთში რუსების არსებობას ბოლო ელება“, – აცხადებენ ავტორები. მათი მონაცემებით, რუსული სათემოს რიცხოვნობა რესპუბლიკაში ოცი წლის განმავლობაში 75-დან 20 ათასამდე შემცირდა. „დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნის მიხედვით აფხაზეთში სახეზეა, – ნათქვამია ტექსტში. – აფხაზეთის სახალხო კრების არჩევნებზე მოქმედებს კვოტა – სამი რუსი, ორი სომეხი, ორი ქართველი (35 ადგილზე). 27-28 ადგილი აუცილებლად უნდა მიეცეს აფხაზებს, რომლებიც მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებია. მინისტრთა კაბინეტში 30-დან რუსი მხოლოდ სამი კაცია. ნორმალურ სამუშაოზე მოწყობა ხდება ნათესაობის ან ნაცნობობის მიხედვით და რახან უფროსი აფხაზია, დანარჩენებიც თავისიანები უნდა იყვნენ“.

დოკუმენტში ნახსენებია აგრეთვე ყბადაღებული „საბინაო საკითხი“. ბინებს, როგორც წესი, რუსებს ართმევენ. „... პენსიონერები, მარტოხელები დაუცველები არიან. აფხაზები იყოფენ ხელში ჩაგდებულ ბინებს. ვინ ართმევს? მხოლოდ აფხაზები. უფროსები – ჩინოვნიკები ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები არიან, ვისაც ჰყავს შესაბამისი ნათესაობა. ვისი დახმარებით ართმევენ? კვლავ აფხაზების – სახლმმართველობის უფროსები, ნოტარიუსები, საქალაქო, ადგილობრივი ადმინისტრაციები... ყურადსაღებია, რომ ეს ყოველივე ხელს აძლევს ხელისუფლებას“, – მიაჩნიათ ავტორებს.

მათი აზრით, აფხაზეთის ხელისუფლებას არ აინტერესებს, რომ რესპუბლიკაში იყოს ძლიერი რუსული სათემო. რუსეთის თანამემამულეთა რუსული სათემოების კონგრესი აფხაზეთში, რომელსაც გენადი მიკიტჩენკო ხელმძღვანელობს, დაინიშნა ზევიდან პირდაპირი ბრძანებით. შექმნეს სათემოს სპეციალური სამმართველოები ხელისუფლების მიერ დანიშნული ხელმძღვანელობით: „რუს თანამემამულეთა უკანასკნელ კონგრესზე აფხაზეთიდან გაემგზავრა ნატალია კაიუტი (ყოფილი განათლების მინისტრის მოადგილე) და ორი აფხაზი!“

მოხსენებაში ყურადღების გარეშე არ არის დარჩენილი რუსეთის საელჩოს საქმიანობაც აფხაზეთში, აგრეთვე ორგანიზაცია „როსსოტრუდნიჩესტვო“. „რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო (საელჩო) და „როსსოტრუდნიჩესტვო“ ბლოკავენ დამოუკიდებელი რუსული ორგანიზაციების გამოჩენას, თავიანთ ხელში აიღეს კავშირები რუსეთის სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლებთან და უპირატესობას ანიჭებენ მუშაობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ეს უფრო ხელსაყრელია და მეტი სიმშვიდეცაა“, – ამტკიცებენ ავტორები.

ჩვენ სრულიადაც არ ვამტკიცებს, რომ ყველაფერი, რაც დაწერილია ამ დოკუმენტში, სიმართლეა. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ მას ახლა შეიძლება უკვე კითხულობდნენ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, გადავწყვიტეთ გაგვეცნო მისი შინაარსი ჩვენი მკითხველებისთვისაც. ეს არის პრობლემისადმი მზერა მხოლოდ ერთი მხრიდან. მაგრამ ამ მხარესაც ხომ აქვს უფლება იყოს გაგონილი.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

## დედამიწის ზურგზე



**„ფუკუსიმამ“ დააბინძურა ოკეანე რამდენიმე კილომეტრით გარშემო – რადიაციის დონე გაზრდილია ექვსჯერ**

რადიაციის დონე ზღვის წყალში ავარიული ელექტროსადგურიდან 15 კილომეტრის მანძილზე კანონით დადგენილ ნორმას 5-ჯერ აჭარბებს. ოპერატორი კომპანიის წარმომადგენლის სიტყვით, სანაპიროდან 3 კილომეტრის დაშორებით დაფიქსირებულია იოდის იზოტოპების შემცველობის ექვგზის გაზრდა.

* * *

**კენედის წერილი: მკვლელობამდე 10 დღით ადრე პრეზიდენტმა მოითხოვა ზესაიდუმლო დოკუმენტი ამოს შესახებ**

უფოლოგებს მიაჩნიათ, რომ კენედი დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს აგენტებმა მოკლეს, რათა მას არ გაეგო სინამდვილე უცხოპლანეტელების შესახებ. ამავე დროს კენედის სურდა, მოეწესრიგებინა თანამშრომლობა სსრ კავშირთან ამოს გამოჩენის მიზეზების გამოკვლევის საქმეში, აღნიშნულია წერილში, რომელიც მიიღო მწერალმა უილიამ ვესტერმა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის თანახმად.



* * *

**ტერორისტი მინსკის მეტროდან აღმოჩნდა სამხედრო მესანგრე და „ინტერნეტ-აჩრდილი“**

დიმიტრი კონოვალოვს, ერთ-ერთ ეჭვმიტანილს, ბავშვობიდანვე უყვარდა ასაფეთქებელი პაკეტების დამზადება, 2009-2010 წლებში კი მსახურობდა გასაიდუმლოებულ სამხედრო ობიექტზე, სადაც გადიოდა ნაღმაფეთქების სწავლებას. მაგრამ, მართალია ვიტებსკის მცხოვრებსა და მის ამხანაგებზე შემჩნეულია ზოგიერთი უცნაურობანი, მისი თანამემამულეების უმრავლესობას არ სჯერა მისი მონაწილეობა მინსკის აფეთქებაში.

* * *

**„ნასა“ სახსრების უქონლობის გამო გამოვიდა გრავიტაციული ტალღების არსებობის ჰიპოთეზის შემოწმების პროექტიდან**

მეცნიერებს არ გააჩნიათ პირდაპირი დადასტურება ჰიპოთეზისა, რომელიც აინშტაინმა წამოაყენა. სადავო საკითხში სიცხადის შეტანისთვის ნასა აპირებდა 2015 წელს კოსმოსში სამი აპარატის გაგზავნას, რომლებიც აღჭურვილი იქნებოდნენ გრავიტაციული ტალღების დეტექტორებით.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პალიტრა

# „პარიზი-თბილისი-ოსლო“

## სამთა გამოფენა „ვერნისაჟში“

სრულ სიმწიფეში შესული სამი ქართველი ხელოვანის ნამუშევართა ჩვენებაა საგამოფენო დარბაზ „ვერნისაჟში“. ის 16 აპრილს გაიხსნა და გრძელდება უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულამდე – ბრწყინვალე აღდგომამდე უფლისა ჩვენისა იესო



ქრისტესი. ესენი არიან **ზეზვა არჩემაშვილი, ლევან ვარაზი** და **თემურ კულიანი**. პირველი ამჟამად პარიზში ცხოვრობს და მოღვაწეობს, მეორე მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა, მესამე კი ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში მუშაობს. ალბათ ამიტომაც ამ ვერნისაჟის მომწყობებმა გამოფენა დაასათაურეს ასე: „პარიზი-თბილისი-ოსლო“.

სამ სრულიად განსხვავებული სტილისა და მანერის მხატვარს ისიც აერთიანებს, რომ სამთავენი მხატვრობაში კინოდან მოვიდნენ.

ზეზვა არჩემაშვილმა 1993 წელს დამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი, 2000 წლიდან მონაწილეობდა ქართველი მხატვრების გამოფენებში (პარიზიძ..

ლევან ვარაზმა 1992 წელს დაამთავრა ВГИК-ის კინორეჟისურის ფაკულტეტი (პეტრე ტოდოროვსკის სახელოსნოძ სპეციალობით – კინოსა და ტელეფილმის რეჟისორი.

თემურ კულიანი დაიბადა ქალაქ თბილისში 1959 წელს. დამთავრებული აქვს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ასევე მოსკოვის კინემატოგრაფიული ინსტიტუტის საერთაშორისო ფაკულტეტი.

ზეზვა არჩემაშვილი თვლის, რომ სამყარო თავისით წესრიგდება და ის რაც იმათ ცხოვრებაში მოხდა, ალბათ ასე იყო საჭირო. ლევან ვარაზს კი, რომელმაც ბავშვობიდანვე იცის, რომ ხატვაში ბაბუის ძმას ვერასოდეს აჯობებს და სულ მის ჩრდილქვეშ ყოფნა მოუწევს, რეჟისორული მცდელობებისათვის თავი არ დაუნებებია და იმედს არ კარგავს, რომ ფილმის გადაღებას საქართველოშიც შეძლებს.

გამოფენაზე დაახლოებით 60 ნამუშევარია წარმოდგენილი.

თემურ კულიანის სურათები სახლების და ამ სახლების პერსონაჟთა გალერეაა, რომლებიც ფანჯარასთან, კუთხეში სხედან, თითქოს ცხოვრებამ მიამწყვდია ისინი იქ, დასაჯა, ანდა, გამოსავალი არ დაუტოვა. სახლების სერიას „გარეუბანი“ ჰქვია, ეს ადამიანები კი გარეუბნელები არიან.

ზეზვა არჩემაშვილი ამბობს: **„ჩემისთანა უცნობი მხატვრისთვის ძალიან ძნელია ამ უზარმაზარ ქალაქში გამოჩნდე, მაგრამ გარკვეული ნიშები მაინც არსებობს, მქონდა გამოფენები, სადაც ნახატები გაიყიდა კიდეც. ეს ძალიან პატარა წრეა, მაგრამ დაინტერესება არის“.**

კინოს რაც შეეხება, ზეზვა არჩემაშვილი არ თვლის, რომ ერთმა ხელოვნებამ მეორე ჩაანაცვლა და რომ კამერის აღების დრო კიდევ მოვა, იგი ამაში სულ უფრო მეტად რწმუნდება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ფონზე.

სამივე მხატვარი თავისი ემოციურობით და შემოქმედებით ოპტიმიზმს თესავენ და თუ გამოფენაზე მოსული ადამიანი ჩაფიქრებული ტოვებს გალერეას, ესე იგი ის დაიმუხტა სიკეთით და გამდიდრდა მადლით. მადლი კი ისეთი სიმდიდრეა, რომელიც ყველასთვის სასარგებლო და სასიხარულოა.

**მამია ალაშვილი,**

**სურათებზე: სამეულის გამოფენაზე.**

**ავტორის ფოტო**

ცნობისმოყვარეთა კუთხე

### სად დავიმალოთ?

**იაპონიას უკვე ერთი თვეა არყევენ მიწისძვრები და ცუნამები, ევროპაში ვულკანები ილვიძებენ. ხვალ რომ ქვეყნის აღსასრული იყოს, შეუძლიათ ხალხს სადმე გადარჩენა?**

**ზ.პეტრიაშვილი, ხაშური.**

დიახ, მაგალითად, ასეთ „კაფსულაში“. პროექტი „ქოხი“ შექმნეს რუსმა დიზაინერებმა პროგრამისთვის „კატასტროფის არქიტექტურა“. ეს არის ბიოკლიმატური შენობა, რომლის ყველა საინჟინრო სისტემა მუშაობს ავტონომიურად, გარესამყაროსთან დამოუკიდებლად. შიგნით ადამიანის ცხოვრებისთვის იდეალური კლიმატია, არის ტელეფონი, ტელევიზია, ინტერნეტი. როგორც ამ პროექტის ავტორი არქიტექტორი ა.რემიზოვი აღნიშნავს არის „ქოხის“ ორი კონცეფცია: დედამიწაზე და წყალზე (როგორც სურათზეაძ. ამ პროექტის მიხედვით შეიძლება აიგოს ნებისმიერი ზომის „ქოხი“ – ინდივიდუალურიდან საოჯახომდე, და უზარმაზარამდე. ის, რაც ფოტოზეა, იტევს 500 კაცამდე, მისი მშენებლობისთვის საჭირო იქნება1-2 წელი.



### რამდენ ხანს ცოცხლობენ ადამიანები?

**ხანდაზმულის ასაკი ჰავანაში 111 წელიწადია. ვინ ცხოვრობდა ყველაზე დიდხანს? და რისგან იხოცებიან ხანდაზმულები – ავადმყოფობისგან თუ მოხუცებულობისგან?**

**გ.ვაშაძე, თელავი.**

გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის გერონტოლოგიის სამეცნიერო კლინიკური ცენტრის განყოფილების გამგე იური კაცი:

– ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზღვარი – 122 წელია. ამდენ ხანს (გინესის რეკორდების წიგნის თანახმადძ იცოცხლა ფრანგმა ჟანა ლუიზა კალმამ. ჩვეულებრივად ხანდაზმულები აქტიური ხალხია. ფ.კასტრო ამჟამად 84 წლისაა, ექიმმა ნ.ამოსოვმა იცოცხლა 89 წლამდე, მ.დევეიკიმ – 100 წელი. დიაგნოზი „გარდაცვალება მოხუცებულობის გამო“ არსებობს – ასე უწოდებენ სიკვდილს, რომელიც ხდება რაიმე დაავადების წინასწარი ნიშნების გარეშე. ადამიანი უბრალოდ წყნარად იძინებს. თუმცა სიბერემდე აბსოლუტურად ჯანმრთელი თითქმის არავინაა.



**რედაქციისგან: გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირის პრესის ფურცლებზე ხშირად წერდნენ და აჩვენებდნენ ხოლმე აზერბაიჯანში მცხოვრებ შირალი მისლიმოვს, რომელმაც, თითქოსდა, 164 წლამდე იცოცხლა. იმ წლებში საქართველოშიც დაიბეჭდა ინფორმაცია აფხაზეთიდან, რომელიც იტყობინებოდა, რომ მეჩაიე ხფაფ ლასურიამ იცოცხლა 130 წლამდე. ვის დავუჯეროთ?**

### ვინ არის დედამიწაზე ყველაზე ღონიერი?

**ტელევიზიით ვნახე თუ ლომმა როგორ დაამარცხა ნიანგი შეტაკებაში. რომელი ცხოველია ყველაზე ღონიერი?**

**ს.თარგამაძე, კასპი.**

– ყველაზე ძლიერი და სახიფათო ცხოველებია ბეჰემოთები და თეთრი დათვები, – გვიხსნის ვეტერინარი გ.მახარაძე. – ბეჰემოთი დიდად გონიერი არ არის, ამიტომ არ იცის რა არის შიში, თანაც მისი წონა 3 ტონაზე მეტია, კანი კი აქვს ძალიან სქელი. თეთრ დათვს კი შეუძლია ტორით გატეხოს ყველაზე სქელი ყინული და ადვილად შეუძლია მოკლას ლომვეშაპიც კი. ყველაზე ძლიერ ცხოველებს განეკუთვნებიან აგრეთვე აფრიკული კამეჩი, დიდი თეთრი ზვიგენი, ლომი და ნიანგი.



გამოიცა

# „მაცნეს“ ახალი ნომერი

**გამოვიდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ „მაცნეს“ ახალი ნომერი (№2, 2010), რომელშიც წარმოდგენილია კავკასიოლოგიის, ფილოსოფიის, მედიალოგიის, ფიზიკის, ისტორიის, სამართალმცოდნეობის, ეკონომიკის მიმართულების ნაშრომები.**

**„კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“ სტატიებს აქვეყნებს ნებისმიერ სამეცნიერო თემაზე. ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, ინგლისური, რუსული.**

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები დღევანდელი თვალსაზრისით საინტერესო და აქტუალურია. მკითხველი გაეცნობა **ზურაბ სულაბერიძის** ნაშრომს „რუსეთის იმპერიის ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტები XIX საუკუნის პირველი ნახევრის კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში“, **რევაზ ბალანჩივაძის** – „ადამიანური სიცოცხლის საზრისის პრობლემას“, **გივი კაპანაძის** სტატიას „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და ქართული მედია“, **მაია ნადარეიშვილის** – „მოქალაქე ჟურნალისტები თანამედროვე მედიაში“, **დიანა ტყებუჩავას** – „ერთი ტერმინის სიზუსტისთვის თანამედროვე ქართულ მედიალოგიაში“, **ვახტანგ ხუნდაძის** – „შოკური თერაპია“ ანუ თანამედროვე ქართული ტელეხედვის ზოგიერთი ასპექტი“, **ვალერიან ბენიძის** – „აგრესიული სეპარატიზმი და მისი შედეგები“, **ლიანა ნაკაიძის** – „პირველი ქართველი მეცენატი მრეწველები“.

„დანაშაულისათვის წაქეზების გამიჯვნა დანაშაულის პროვოცირებისგან“ – ამ სათაურით გამოქვეყნებულ მასალაში **გელა აბესაძე** გვთავაზობს საინტერესო თვალსაზრისს, ხოლო **რამაზ კვარაცხელიას** ნაშრომის სახელწოდებაა „შურისძიება – დანაშაულის მოტივი თუ მიზანი?“ აქვე გამოქვეყნებულია **გიორგი მუხაძის** ნაშრომი „აფექტური მკვლელობის ბრალეულობის ზოგიერთი საკითხი“, **ეკატერინე ნინუას** „ამხანაგობის ხელშეკრულების შინაარსის ზოგადი დახასიათება ქართული კანონმდებლობის მიხედვით“, **ხათუნა ბარბაქაძის** „ფინანსური ლევერიჯი – კორპორაციის მართვის ეფექტური ინსტრუმენტი“...




ჟურნალში გაეცნობით, აგრეთვე, ეკატერინე გოგორიშვილის, აბესალომ გაბრიჭიძის, თამარ გამსახურდიას, თამარ ინასარიძის, ნატო კაკაშვილის, ესმა და მარინა ხიზანიშვილების და სხვათა ნაშრომებს.

„კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნეს“ მთავარი რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დიანა ტყებუჩავა,** მმართველი რედაქტორი – **ოლეგ მელაძე,** ფინანსური რედაქტორი – **ვახტანგ წიწივაძე,** გამომშვები რედაქტორები – **ვახტანგ ხუნდაძე, ნანა ჯანაშია,** რედაქტორ-იურისტი – **რამაზ კვარაცხელია.**

ჟურნალი დაისტამბა გამომცემლობა „უნივერსალში“, დიზაინის ავტორია **მაია ნადარეიშვილი.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

სენაკი

# პოეზიის საღამო

**პოეზიის საღამომ, რომელიც სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 17 აპრილს გაიმართა კიდევ ერთხელ გვაზიარა პოეტ ლევან ჯანჯღავას სულს.**

საღამო მიეძღვნა ლევან ჯანჯღავას ლექსების მეორე კრებულის საზოგადოებისთვის წარდგინებას. კრებული მეუფე პეტრეს თაოსნობითა და მხარდაჭერით გამოიცა.

ლევანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკეს ილია ღვამბერიამ, თამარ ვარდიამ და ნინა თავართქილაძემ. პოეტის სულიერ სამყაროზე ისაუბრეს მეუფე პეტრემ და მეუფე შიომ.

**იოსებ გობეჩია,**

**„სრ“ საკ. კორ.**

ინფორმაცია

### ონიშჩენკომ რუსეთში კონტრაბანდული „ბორჯომი“ აღმოაჩინა

**ბელორუსიდან რუსეთში არალეგალურად შეტანილი ქართული მინერალური წყალი „ბორჯომი“ აღმოაჩინეს. ამის შესახებ „როსპოტრებნადზორის„ ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა.**

**კონტრაბანდულ ბორჯომს სხვადასხვა რეგიონის სასურსათო ბაზრებზე მიაკვლიეს, მათ შორის, იგი მოსკოვშიც აღმოჩნდა. აქციზური მარკის მიხედვით, მისი იმპორტიორი „კლასიკური ღვინოები“ აღმოჩნდა, რომელიც მინსკშია დარეგისტრირებული.**

**„ბორჯომის„ მინერალური წყალი, ქართულ ღვინოსთან ერთად, რუსული ბაზრიდან ჯერ კიდევ 2006 წელს ამოიღეს. 2009 წელს კი მოსკოვმა მინსკი დაადანაშაულა, რომ ბელორუსიდან რუსეთში იმ დროს აკრძალული სხვა პროდუქტები ხვდებოდა, მათ შორის, მოლდავური ღვინო.**

**2011 წლის დასაწყისში ონიშჩენკომ აღნიშნა, რომ ბელორუსი რუსეთთან, ბელორუსისა და ყაზახეთთან გაფორმებული საბაჟო კავშირის საფუძველზე, სანიტარიულ ნორმებს არ იცავდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფეხბურთი



# მოკლედ

**ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი.** „დინამო“ – „ბაია“ 2:1 (კოშკაძე, ხმალაძე; ეხვაია).

**ეროვნული თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური შეხვედრები.** „ტორპედო“ – „ზესტაფონი“ 1:0, „გაგრა“ – „ვიტ ჯორჯია“ 3:0 (ამ მარცხის შემდეგ ვეტერინართა მთავარი მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი თანამდებობიდან გადადგა).

**საპასუხო ბრძოლები 2 მაისს გაიმართება.**

**მანუჩარ რაჭველიშვილი**

მისაბაძი მაგალითი



# სტიმული კალათბურთელთათვის

**„ლიბერთი ბანკი“ განაგრძობს სპორტულ სტრუქტურებთან თანამშრომლობას – საქართველოს რაგბის კავშირის შემდეგ აღნიშნული ბანკი კალათბურთის ფედერაციასთან ერთად მომხმარებელსა და გულშემატკივარს ერთობლივ საბანკო პროდუქტს სთავაზობს.**

როგორც „ლიბერთი ბანკის“ სათაო ოფისში ბანკის გენერალური დირექტორის ლადო გურგენიძის, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ზესიკ ლიპარტელიანის, ვეტერანი კალათბურთელის ნიკოლოზ დერიუგინისა და ეროვნული ნაკრების ფორვარდის ნიკოლოზ ცქიტიშვილის მონაწილეობით მოწყობილ ამ პროექტის პრეზენტაციაზე გაცხადდა, ახალი ვადიანი ანაბარი ერთნაირად მომგებიანი იქნება როგორც მომხმარებლისთვის, ისე ქართული კალათბურთის განვითარებისთვის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების



უფრო მეტი მოტივაციისა და ხელშეწყობისათვის.

„პატრიოტი ძომაგი – 2011“-ის გახსნის შემთხვევაში კლიენტს დაერიცხება წლიური 14 პროცენტი და, გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ლიტვაში „ჯვაროსნები“ წარმატებით ითამაშებენ, გაჩნდება შანსი, რომ საპროცენტო განაკვეთი დამატებით 3-დან 24 პროცენტამდე გაიზარდოს.

კერძოდ, ჯგუფური რაუნდის ერთი მატჩის მოგების შემთხვევაში დამატებით დაერიცხება 16 პროცენტი, ორი მატჩის მოგების შემთხვევაში – 18 პროცენტი, პლეი-ოფში გასვლის შემთხვევაში – 20 პროცენტი, ხოლო ოქროს მედლების მოპოვების შემთხვევაში – 25(!) პროცენტი.

დაგვეთანხმებით, სტიმულიც ამას ჰქვია.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი

# თავს ზემოთ ძალა არაა

**18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი დაუძლეველი წინაღობა აღმოჩნდა საქართველოს ნაკრებისთვის. „ბორჯღალოსნები“ 16:36 დამარცხდნენ იტალიელებთან და, შარშანდელის მსგავსად საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ „ბრინჯაოს“ მედლებს მოიპოვებენ, თუ 23 აპრილს გერმანიის გუნდს მოუგებენ.**



აპენინელებმა, განსაკუთრებით შესვენებამდე, პირწმინდად დაგვჯაბნეს როგორც შერკინებაში, ისე დერეფანში, თანაც განუწყვეტლივ აკონტროლებდნენ ბურთს და მეტოქე საკუთარ საჯარიმოს არ გააკარეს. ასე რომ, სავსებით კანონზომიერი იყო მათ მიერ დადებული ხუთი ლელო.

ლევან მგელაძის შეგირდები გონს მეორე ტაიმში მოეგნენ, შარიქაძისა და სორდიას ლელოებს ხუციშვილის გატანილი საჯარიმოები დაემატა და მატჩის გადარჩენის იმედიც აკიაფდა, თუმცა იგი მირაჟი აღმოჩნდა – „სკუადრა აძურა“ დამსახურებულად გავიდა ფინალში, სადაც 23 აპრილს შოტლანდიას შეხვდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

მხატვრული ტანვარჯიში

# მინსკისაკენ – ჰერი, ჰერი!

**მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ეროვნულ ჩემპიონატს, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო, შესარჩევი ხასიათიც ჰქონდა – საუკეთესოები მაისში ბელარუსის დედაქალაქში ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. სულ გამოვლინდა მინსკის საგზურის რვა მფლობელი.**

**გაუწყებთ ჩემპიონთა და პრიზიორთა ვინაობას მრავალჭიდში.**

**ახალგაზრდები**

ლიანა ცერცვაძე, სალომე ფაყავა, გაბრიელა ხველელიძე.

**დიდები**

მზევინარ სამუკაშვილი, ირინა ხოფერია, ციცია მკერვალი.

**პლატონ გიორგაძე**



ინტერნეტიდან

## როცა „მანჩესტერ იუნაიტედიც“ აშავებს

**ბოლო დროს რატომღაც ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უსიამოვნებები „გადაეკიდა“. ჯერ იყო და, ტელეკამერასთან ბილწსიტყვაობისთვის უეინ რუნის ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ახლა კი, შაბათს ინგლისის თასის გათამაშების ნახევარფინალში გუნდი „მანჩესტერ სიტისთან“ დამარცხდა (0:1). როგორც ბრიტანული პრესა იტყობინება, ამ დამარცხებით გამწარებულმა „იუნაიტედელებმა“ მიანგრ-მოანგრიეს სტადიონ „უემბლის“ გასახდელი და ერთ-ერთ კედელში ხვრელიც კი დატოვეს.**

იტყობინებიან, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია აპირებს ამ ხვრელისთვის, რომელიც იმ ადგილისკენ გადის, სადაც ჩვეულებრივად გუნდის მთავარი მწვრთნელი ზის ხოლმე, დასჯას, თავად „წითელ ეშმაკებს“ თავიანთი დამრიგებლის ალექს ფერგიუსონის მიმართ პრეტენზიები არ გამოუთქვამთ. ასეთ დანაშაულზე კი ეჭვი მიიტანეს გუნდის მწვრთნელზე ფიზმომზადებაში ტონი სტრუდვიკზე, რომელმაც, თითქოს კედელი წიხლის მძლავრი დარტყმით გაანგრია.



ხვრელი სასწრაფოდ ამოაშენეს, მაგრამ ის მაინც შეამჩნიეს კვირას მეორე ნახევარფინალში მონაწილე „სტოკ სიტის“ ფეხბურთელებმა, რომლებიც იმავე გასახდელში მოათავსეს. მატჩი „ბოლტონ უოიდერერსთან“ მათ მოიგეს – 5:0.

## თავიანთი თაყვანისმცემლები გაახარეს

**კალიფორნიაში მოწყობილ მორიგ ვარსკვლავთრბოლაში Toyota Cup, თავიანთი თაყვანისმცემლები გაახარეს პოპულარულმა მსახიობმა ქალმა მეგან ფოქსმა და მისმა ბოიფრენდმა ბრაიან ოსტინ გრინმა.**

ბრაიანი თვითონ მონაწილეობდა რიგით 35-ე რბოლაში, მეგანი კი ტრიბუნიდან გულშემატკივრობდა თავის რჩეულს, შემდეგ კი ტრასაზე გავარდა და მხურვალე კოცნით დააჯილდოვა ის.

ჯერჯერობით არაფერია ცნობილი ოსტინ გრინის სპორტულ გმირობაზე, თუმცა, შესაძლოა, კალიფორნიაში ამ ასპარეზობით დაიწყოს 37 წლის ბრაინის დიდი კარიერა. ამ შეჯიბრებების შემდეგ წყვილი ტრადიციულ საღამოზე წავიდა და გათენებამდე ატარებდა დროს. თუმცა ბრაინი საჭესთან აღარ დამჯდარა.



მეგან ფოქსი კი საქვეყნოდ ცნობილი გახდა 2007 წელს ეკრანებზე ფილმის „ტრანსფორმარების“ გამოსვლის შემდეგ. ის ნამდვილ სექს-სიმბოლოდ იქცა. შემდეგ კი – 2009 წელს გადაიღეს ფილმში „ჯენიფერის ტანი“. მომხიბვლელი ფორმების გარდა, მეგანი მამაკაცებს აჯადოებს უამრავი სვირინგით. ერთი მათგანით კი – Brain Austin Green – ის პირდაპირ მიუთითებს, თუ ვის ეკუთვნის მისი გული.

## სერენამ დეპრესიას აჯობა

**სახელგანთქმული ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსი ფეხის ოპერაციის გამო გასული ზაფხულის შემდეგ არ გამოჩენილა კორტებზე. შემდეგ კი დაუსვეს დიაგნოზი – ფილტვების ემბოლია – ძალზე საშიში დაავადება, რასაც გართულების შემთხვევაში შეიძლება სიკვდილიც კი მოჰყვეს.** რასაკვირველია, მას ექიმები დაახვიეს. სერენასთვის მკურნალობას უშედეგოდ არ ჩაუვლია – მას გემატომა ჩამოუყალიბდა, რისთვისაც ის ისევ საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდა. მაგრამ საბედნიეროდ, ბოროტსა სძლია კეთილმან, და ჩოგბურთელის ცხოვრებაც თანდათან აეწყო. ამას წინათ მან ივარჯიშა კიდეც. ამ დღეებში კი გადაწყვიტა, დობილებთან ერთად ატლანტიკის ოკეანეში ებანავა (**სურათზე**). რასაკვირველია, პაპარაცებმა, ჩოგბურთის ვარსკვლავს სულ უკან რომ დასდევენ, მოასწრეს შავკანიანი ლამაზმანის ბიკინებში გადაღება.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## იცოდით?

**გეოგრაფიული რუკა** – ანაქსიმანდრე მილეთელი – ძვ. წ. 580.
**ფაიფური** – ჩინეთი – ძვ. წ. აღ III ს.
**კლეპსიდრი** (წყლის საათი) – ქტესიბიოსი – ძვ. წ. II-I ს.
**ქაღალდი** – ჩინეთი – II ს.
**კომპასი** – ჩინეთი – XII ს.
**სათვალე** – როჯერ ბეკონი – XIII ს. შუახნეები.
**დენთი** – ბერტოლდ შვარცი – 1250 წ.
**წიგნის ბეჭდვა** – იოჰან გუტერბერგი – XV ს. შუახანეები.
**ველოსიპედი** – ლეონარდო და ვინჩი – 1493 წ.
**ჯიბის საათი** – პეტრე გენლეინი – 1500 წ.
**პისტოლეტი** – კამილ ვესტელი – 1560 წ.
**ტელესკოპი** – გალილეო გალილეი – XVI ს.
**თერმომეტრი** – გალილეო გალილეი – XVI ს.
**მიკროსკოპი** – ჰანს და ზაქარია იანსენები – 1590.
**დამწერლობა** – შუმერები – ძვ. წ. IV-III ს.
**ასტრონომიული ტელესკოპი** – იოჰან კეპლერი – 1611 წ.
**ლოგარითმული სახაზავი** – ჯონ ნეპერი – 1615 წ.
**წყალქვეშა ნავი** – კორნელიუს ვან დრებერი – 1620 წ.
**საფოსტო ყუთი** – რენუარ დე ვილაისი – 1653 წ.
**ქანქარიანი საათი** – კრისტიან ჰიუგენსი – 1657 წ.
**მანომეტრი** – ოტო ფონ გერიკე – 1661 წ.
**სექსტანტი** – ისააკ ნიუტონი, ჯეიმზ გრეგორი – XVII ს-ის II ნახევარი.
**კონიაკი** – დელაკრუა მარონი – XVII ს. დამლევი.
**კლარნეტი** – იოჰან ქრისტოფერ დენერი – 1690 წ.
**ტოტალიზატორი** – დედოფალი ანა სტიუარტი – 1702 წ.
**ვერცხლისწყლიანი თერმომეტრი** – გაბრიელ ფარენჰაიტი – 1714 წ.
**ბორმანქანა** – პიერ ფოშარი – 1728 წ.
**ტემპერატურული სკალა** – ანდერს ცელსიუსი – 1742 წ.
**მეხამრიდი** – ბენჯამენ ფრანკლინი – 1747 წ.
**ჯიბის საათი რეკვით** – ლუი ბრეგეტი – 1747 წ.
**სართავი მანქანა** – ჯეიმს ჰარგრივზი, როდიონ გლინკოკი – 1760-70 წ.
**ყრუმუნჯთა ანბანი** – სამოელ ჰეინიკე – 1762 წ.
**პროჟექტორი** – ივანე კულიბინი – 1774 წ.
**საჰაერო ბურთი** – ძმები ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფიეები – 1783 წ.
**მექანიკური სათესი მანქანა** – ჯეიმს კუკი – 1783 წ.
**ფულის საჭრელი მანქანა** – ჟან პიერ დროზი – 1784 წ.
**ორთქლის მანქანა** – ჯეიმს უატი – 1784 წ.
**ორთქლის წისქვილი** – ოლიკიე ევანსი – 1786 წ.
**ნაყინის ფაბრიკა** – ნენსი ჯონსონი – 1790 წ.
**ფეხსაცმლის საკერავი მანქანა** – ტომას სენტი – 1790 წ.
**გილიოტინა** – ჟოზეფ გილიოტენი – 1792 წ.
**შამპანური** – ნიკოლ ბარბიე კლიკო – 1797 წ.
**ლითოგრაფია** – ალიოზ ზენეფელდერი – 1798 წ.
**ქაღალდის მანქანა** – ლუი რობერტი – 1799 წ.
**დენის ქიმიური წყარო** – ალექსანდრე ვოლტა – 1800 წ.
**პიანინო** – ჰოკინსი, მიულერი – 1800-1801 წ.
**ველოსიპედი** – ეფიმ არტამონოვი – 1801 წ.
**დაკონსერვების მეთოდი** – ნიკოლა აპერი – 1806 წ.
**ბორბლიანი გემი** – რობერტ ფულტონი – 1807 წ.
**ბრტყელი საბეჭდი მანქანა** – ფრიდრიხ კენიგი – 1810 წ.
**ორთქლმავალი** – ჯორჯ სტეფენსონი – 1814 წ.
**მაღაროს ლამპა** – ჯორჯ სტეფენსონი – 1814 წ.
**დარეზინებული ქსოვილი** – ჩარლზ მაკინტოში – 1823 წ.
**ცემენტი** – ჯონ ასპდინსი – 1825 წ.
**სტეარინის სანთლები** – ჟოზეფ ლუი გეი-ლუსაკი, მიშელ შევრედი – 1825 წ.
**ასანთი** – ჯონ უოკერი, სემუელ ჯონსი – 1826 წ.
**ბეტონი** – ეგორ ჩელიევი (ჭელიძე) – 1827 წ.
**ელექტროძრავა** – ანიოშ იშტვან იედლიკი – 1827-1828 წ.
**შვიდსიმიანი გიტარა** – ანდრეი სიხრა – 1828 წ.
**შრიფტი უსინათლოებისათვის** – ლუი ბრაილი – 1829 წ.
**ბაბიტი** – ირვინგ ბაბიტი – 1834 წ.
**რევოლვერი** – სემუელ კოლტი – 1835 წ.
**ტელეგრაფი** – სატელეფონო კოდი – მორზე – 1837-1838 წ.
**ფოტოგრაფია** – ლუი ჟაკ მანდე დაგერი – 1838 წ.
**საფოსტო მარკა** – რობერტ ჰილი – 1840 წ.
**ქაღალდის წარმოება** – მიხეილ ტონეტი – 1840-43 წ.

# ვისი გონების ნაყოფს ვიყენებთ?

### გამოგონებები მეცნიერებასა და ტექნიკაში

**ანილინის სინთეზი** – ნიკოლოზ ზინინი – 1842 წ.
**საკერავი მანქანა** – ერნესტ გაუ – 1845 წ.
**საქსოფონი** – ადოლფ საქსი – 1846 წ.
**შვედური ასანთი** – ლარს ბეტგერი – 1848 წ.
**ტემპერატურის აბსოლუტური სკალა** – უილიამ ტომსონი, **ბარონ კელვინი** – 1848 წ.
**ოფთალმოსკოპი** – ჰერმან ჰელმჰოლცი – 1851 წ.
**საკერავი მანქანა** – ისააკ ზინგერი – 1851 წ.
**დირიჟაბლი** – ანრი ჟიფარი – 1852 წ.
**ლიფტი** – ელიშა ოტისი – 1852 წ.
**ჩიფსები** – ჯორჯ კრამი – 1953 წ.
**ლარინგოსკოპი** – მანუელ პატრისიო როდრიგეს გარსია – 1855 წ.
**სატელეგრაფო აპარატი** – ჩარლზ უიტსენი – 1858 წ.
**აკუმულატორი** – გასტონ ბლანტე – 1860 წ.
**შიგაწვის ძრავა** – ეტიენ ლენუარი – 1860 წ.
**ავტომატური თოფი** – რობერტ პილონი – 1863 წ.
**ცეცხლსაქრობი** – ალანსონ კრეი – 1863 წ.
**მარტენის ღუმელი** – პიერ მარტენი – 1864 წ.
**დინამიტი** – ალფრედ ნობელი – 1866-1867 წ.
**რკინაბეტონი** – ჟაკ მონიე – 1867 წ.
**თვითმფრინავის პროექტი** – ნიკოლაი ტელეშკოვი – 1867 წ.
**ხორბლის კომბაინი** – ალექსი ვლასენკო – 1868 წ.
**ფერადი ფოტოგრაფია** – დეი დიუკო დიუ ორონი – 1869 წ.
**უკვამლო დენთი** – მენდელეევი – 1873 წ.
**ტელეფონი** – ალიგზანდერ გრეიმ ბელი – 1876 წ.
**ფონოგრაფი** – თომას ალვა ედისონი – 1877 წ.
**ნახშირის მიკროფონი** – დევიდ ედუარდ ჰიუზი – 1878 წ.
**რძის სეპარატორი** – კარლ გუსტავ დე ლავალი – 1878 წ.
**ბგერათსაზომი** – დევიდ ედუარდ ჰიუზი – 1879 წ.
**ელექტროფიცირებული რკინიგზა** – ერნესტ სიმენსი – 1879 წ.
**უკვამლო დენთი** – პიერ ვიელი – 1884 წ.
**მოტოციკლი ბენზინის ძრავით** – გოტლიბ დაიმლერი – 1885 წ.
**კოკა-კოლა** – ჯონ ჰემბერტონი – 1886 წ.
**ტრაქტორი** – ჯონ ფროილინი – 1895 წ.
**შიგაწვის ძრავი** – რუდოლფ დიზელი – 1897 წ.
**რადიო** – გულიელმო მარკონი – 1897 წ.
**მაცივარი** – ალექსანდრ მარშალი – 1899 წ.
**ხისტი დირიჟაბლი** – ფერდინანდ ცეპელინი – 1900 წ.
**მტვერსასრუტი** – ჰერბერტ სესილ ბუთი – 1901 წ.
**ელექტროკარდიოგრაფი** – ვილემ ეინტჰოვენი – 1903 წ.
**თვითმფრინავი** – უოლბერ და ორვილ რაიტები – 1903 წ.
**ტელევიზია** – ბორის როზინგი – 1907-1911 წ.
**ცელოფანი** – იაკუს ბრანდენ ბერგერი – 1908 წ.
**აერომარხილი** – ალექსანდრ კუზინი – 1908 წ.
**ბაკელიტი** – ლეო ბაკლენდი – 1909 წ.
**ვილსონის კამერა** – ჩარლზ ტომსონ რის ვილსონი – 1912 წ.
**უკვამლო დენთიანი რაკეტა** – ივან გრავე – 1916 წ.
**ნაყინი ესკიმო** – ჰარი ბერტი – 1920 წ
**ანტიფრიზი** – მოზეს გომბერი – 1920 წ.
**სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატი (ავტოჟექტორი)** – სერგეი ბრიუხონენკო – 1920-25 წ.
**თბომავალი** – ჯოზეფ ბომბარდირი – 1922 წ.
**ელექტრომიკროსკოპი** – მაქს კნოტი, ერნსტ რუსკა – 1931 წ.
**სინთეზური კაუჩუკი** – სერგეი ლებედევი – 1932 წ.
**ნახშირის კომბაინი** – ალექსანდრ ბახმუტსკი – 1932 წ.
**კორონოგრაფი** – ბერნარ ლიო – 1934 წ.
**ნაილონი** – უოლეს კაროტერი – 1935 წ.
**ბურთულიანი ავტოკალამი** – იშტვან ბირო – 1938 წ.
**ქსეროგრაფია** – ჩესტერ კარლსონი – 1938 წ.
**აკვალანგი** – ჟაკ-ივ კუსტო – 1943 წ.
**ბიკინი (საბანაო კოსტუმი)** – მიშელინ ბერნარდინი – 1946 წ.
**ტრანზისტორი** – უილიამ შოკლი, ჯონ ბარდინი, უოლტერ ბრატეინი – 1947 წ.
**ერთჯერადი შპრიცი** – კოლინ მერდოკი – 1956 წ.
**თვითმფრინავის შავი ყუთი** – დევიდ უორენი – 1858 წ.
**ფოტოაპარატი „პოლაროიდი“** – ედვინ დენდი – 1947 წ.
**ბატისკაფი** – ოგიუსტ პიკარი – 1948 წ.
**ჩამწერი სისტემა** – რეფ დოლბი – 1965 წ.
**მოსამართი რადიო** – ტრევორ ბეილსი – 1993 წ.

შეკრიბა
**ზინა ლობჟანიძემ**
**აბასთუმანი.**

## ჩვენი კარაბადინი

### გამოუძინებლობა ხელს უშლის გახდომას



**ის ადამიანები, რომლებსაც ცოტა სძინავთ და მუდმივ სტრესში ცხოვრობენ, ვერ დაიკლებენ წონაში ყველაზე ეფექტიანი დიეტებისა და ფიტნეს-პროგრამების დროსაც კი.**

ამერიკელი სპეციალისტები 26 კვირის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს 472 მსუქან ადამიანს. ყველა გამოსაცდელი იყო დაბალკალორიულ დიეტაზე, რომელიც მდიდარია ხილით, ბოსტნეულითა და მარცვლეულით, და აწარმოებდნენ ფიტნესს კვირაში სულ ცოტა 3 საათი. მოხალისეებმა საშუალოდ დაიკლეს 7 კილოგრამი, მაგრამ მათგან ისინი, ვისაც კარგად არ ეძინა და ბევრს ნერვიულობდა, გახდა მხოლოდ 3,5 კილოგრამით. ყველაზე მეტად წელში გამოყვანილი გახდნენ ისინი, ვისაც 6-8 საათი ეძინა და სტრესის დაბალი დონე ჰქონდა.

### ხუთი თითის წესი

**პირველი სამედიცინო დახმარება ადამიანს შეიძლება აღმოუჩინოს პატარა ბავშვმაც კი, მიაჩნიათ ნორვეგიელ მკვლევარებს.**

მეცნიერები ასწავლიდნენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, დაეხმარონ უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს სისტემით „ხუთი თითის წესი“. ბავშვებს სთავაზობდნენ, შეხედონ ადამიანს, დაელაპარაკონ მას, შეეხონ ხელით, შეეცადონ მის გაღვიძებას, დარეკონ სასწრაფო დახმარებაში და, ბოლოს, შეუქმნან მას კომფორტული ვითარება. შედეგები მკვლევარებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. „ორი თვის შემდეგ ბავშვებს შეეძლოთ განესაზღვრათ, სძინავს ადამიანს თუ უგრძნობელ მდგომარეობაშია, აგრეთვე სუნთქავს ის თუ არა. ბავშვებს ახსოვდათ სასწრაფო დახმარების ნომერი და შეეძლოთ ზუსტად აღეწერათ თავიანთი ადგილსამყოფელი“, – ასეთ კომენტარს აკეთებენ ქირურგები ჰოუკლენდის უნივერსიტეტის ჰოსპიტლიდან.

### თანამდევი ეფექტი

**ორალური კონტრაცეპტივები ახანგრძლივებენ სიცოცხლეს, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ დიდი ბრიტანეთის მეცნიერები, რომლებიც 40 წლის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს ქალების ორ ჯგუფს. ერთი ჯგუფი ღებულობდა კონტრაცეპტივებს ოთხი წლის განმავლობაში, მეორე საერთოდ არ ღებულობდა მათ.**

აღმოჩნდა, რომ ქალები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებდნენ არასასურველი ფეხმძიმობისაგან დაცვას აბების დახმარებით, ნაკლებად იტანჯებოდნენ ტკივილებისგან მენსტრუაციის დროს. მაგრამ, რაც მთავარია, მათ 12 პროცენტით ჰქონდათ შემცირებული ალბათობა კიბოვანი სიმსივნეების (სარძევე ჯირკვლის კიბოს გარდა) და სისხლძარღვთა ყველა დაავადების განვითარებისა, დაწყებული ფლებიტებიდან და დამთავრებული ინფარქტითა და ინსულტით.

### დოზები უმნიშვნელოა

**აეროპორტის რენტგენული სკანერები არ არის საზიანო ჯანმრთელობისთვის, გვამშვიდებენ ამერიკელი რადიოლოგები. სკანერში რამდენიმე წამით გატარებული ადამიანი იღებს გამოსხივების ისეთივე დოზას, როგორსაც ღებულობს ჩვეულებრივი ცხოვრების 3-4 წუთის განმავლობაში ნორმალურ რადიაციულ ფონზე.**

ჩვენს დასამშვიდებლად მეცნიერებს მოჰყავთ შედარებითი რადიაციული დატვირთვის კიდევ რამდენიმე მაგალითი: სკანერში 50 გავლა უდრის მტკივანი კბილის 1 რენტგენულ სურათს, სკანერში 1000 გავლა უდრის მკერდის 1 რენტგენს, 4000 გავლა – 1 მამოგრაფიას, 200 000 გავლა – მუცლის ღრუს 1 ტომოგრაფიას. ერთი შენიშვნით: ყველა ეს ციფრი სწორია, თუ სკანერი გამართულია და მისი ექსპლუატაცია ხდება სწორად.

### ყველაზე სასარგებლო პროდუქტი



**კაკალი, შეიძლება, ყველაზე სასარგებლო პროდუქტია პლანეტაზე, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს. მკვლევარებმა კაკლის 9 სხვადასხვა სახეობა შეადარეს ერთმანეთს. ნუში, არაქისი, ფსტა, ბრაზილიური კაკალი, კეშიუ, მაკადამია, თხილი, პეკანი და ეგრეთ წოდებული ბერძნული, ანუ ჩვენებური ნიგოზი.** აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელში თითქმის ორჯერ მეტი ანტიოქსიდანტია, ვიდრე ნებისმიერ სხვაში. უფრო მეტიც, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ანტიოქსიდანტი – E ვიტამინი – ჩვენებურ კაკალში არის გამა-ტოკოფეროლის საკმაოდ იშვიათი ფორმით. ვიტამინის ეს ნაირსახეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა ჯანმრთელობისთვის. ამ სახის კაკლის კიდევ ერთი უპირატესობა – არ არის მიღებული მათი შეწვა (ან მოხალვა), მაშასადამე, მასში ყველა სასარგებლო ნივთიერება შესანიშნავად ინახება.

ЗДОРОВЬЕ

## ინფორმაცია

### 22 აპრილს დედამიწის დღე აღინიშნება



**22 აპრილს დედამიწის დღე აღინიშნება. აღნიშნულთან დაკავშირებით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) ფონდთან „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ (PFRS), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამასა (UNEP) და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებას გამართავს, რომლის მთავარი გზავნილი იქნება: „შეაჩერე კლიმატის ცვლილება, ითამაშე შენი როლი!“**

**ღონისძიების პირველი ნაწილის ფარგლებში „ვარდების რევოლუციის მოედანზე„ წარმოდგენილი იქნება თბილისში არსებული სხვადასხვა საავტომობილო კომპანიების „მწვანე“ მანქანების გამოფენა.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დაიჯესტი

### მითხარი, ვინაა შენი ცოლი და...



**როგორც წესი, გენიოსობის ფენომენის ახსნას მამისგან მიღებული გენეტიკური მემკვიდრეობით ცდილობენ.** არადა, როგორც ჩანს, ამ დროს საქმე გვაქვს „განსაკუთრებულ დედასთან“. დაისვენებს თუ არა ბუნება გენიოსის შვილებზე, ალბათ, უფრო მეტად იმაზეა დამოკიდებული, თუ ვისზეა ეს გენიოსი დაქორწინებული...

### გენიოსების შთამომავლობა: მთავარია დედა და არა მამა

**XX საუკუნის 80-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მასშტაბური პროექტი დაიწყეს: გამოჩენილ მამაკაცთა, ნობელის პრემიის ლაურეატთა სპერმის ბანკი „გააააქტიურეს“. ორასი ამერიკელმა ქალბატონმა ჯერ შესანიშნავ ბავშვთა მუცლით ტარება, მერე გაჩენა და აღზრდა დაიწყო.**

პროექტის წამომწყების გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ მეცნიერებმა მიღებული შედეგები დააჯამეს. აღმოჩნდა, რომ 200 ბავშვიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა ინტელექტის მაღალი მაჩვენებელი – 180. ორი წლის ასაკში იგი კომპიუტერზე მარტივ სამუშაოს ასრულებდა, 5 წლისა „ჰამლეტს“ კითხულობდა (თუმცა იმის თაობაზე, ესმოდა თუ არა ის, რასაც კითხულობდა, ინფორმაცია არ არისძ. პროექტის დანარჩენ „წევრებს“ კი საშუალო ნიჭი და უმამოდ გაზრდილი ბავშვების ჩვეულებრივი პრობლემები აღმოაჩნდათ.

ამდენად, მიიჩნევენ, რომ გენიალობის შთამომავლობით მიღება რთული საქმეა. თუმცა, მეცნიერებმა სხვა ვერსიაც წამოაყენეს: სავსებით დასაშვებია, რომ ინტელექტი შთამომავლობით მამისგან კი არა, დედისგან გადადის, ზოგიერთი მეცნიერი ქალის ქრომოსომას „ტვინის საკუჭნაოს“ უწოდებს. ზოგიერთი გენის სწორედ დედისეული ასლები უზრუნველყოფენ თავის ტვინის ქერქის გააქტივებას, მამისეულები კი, პირიქით, ამ პროცესს ანელებენ.

### თეთრი და გადარეული

**ჰავაის კუნძულების დედაქალაქ ჰონოლულუს ოკეანარიუმში უნიკალური შემთხვევა მოხდა. დასვენების დღეს ერთ-ერთ აკვარიუმთან უჩვეულოდ ბევრმა მნახველმა მოიყარა თავი. სტუმრები განსაკუთრებულ ყურადღებას ახალგაზრდა თეთრ ზვიგენს აქცევდნენ.** საერთოდ, ეს ცხოველები ძალიან აგრესიულნი არიან, ეს ზვიგენი კი, როგორც ჩანს, რაღაც გარემოებამ მთლად „ჭკუიდან გადაიყვანა“. რაღაც მომენტში იგი აკვარიუმის მინას მოცილდა, შემდეგ კი მაქსიმალური სისწრაფით ადამიანებისკენ დაიძრა და შუშის კედელს შეასკდა. მინა გატყდა და ზვიგენის უზასრესი კბილებით სავსე ხახა აკვარიუმიდან გამოვიდა. წყალმა მაყურებლები რაღაც სასწაულით არ წალეკა, რადგან თავისივე გაკეთებული ნახვრეტი ზვიგენმა საკუთარივე სხეულით მჭიდროდ დაახშო, მიწვდომით კი ის ვერავის მისწვდა, რადგან ხალხმა უკან დახევა მოასწრო.



### მედლებთან ერთად – ოქროს ზოდებიც

**ყოველ ოლიმპიურ მედალს ოქროს წონა აქვსო – ამ ფრაზამ 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ბრაზილიელი სპორტსმენებისთვის სავსებით რეალური შინაარსი შეიძინა.**

საქმე ის არის, რომ ვიდრე ოლიმპიადა გაიმართებოდა, ქვეყნის სასაქონლო ბირჟის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების ყველა პრიზიორი შინ დაბრუნებისას ჯილდოდ... ოქროს ზოდს მიიღებდა, თუმცა მათი წონა, მოპოვებული მედლის ხარისხისდა მიხედვით, განსხვავებული იქნებოდა. მართლაც, სეულის ოლიმპიადის ბრაზილიელმა ჩემპიონებმა ერთკილოგრამიანი ზოდები მიიღეს, ვერცხლის პრიზიორებმა – ნახევარკილოგრამიანები, ხოლო „ბრინჯაოსნებმა“ – ასგრამიანები.

ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელი პრეზიდენტის ს.პადილიას თქმით, ასეთი ჯილდო სულაც არ ეწინააღმდეგება ოლიმპიური მოძრაობის პრინციპს.

### სასტიკი დასჯა ვითომ სპორტის ახალ სახეობად გადაიქცევა?

**მე-15, მე-18 საუკუნეებში დიდი ბრიტანეთის ფლოტში სასტიკი სასჯელი ჰქონიათ შემოღებული: დამნაშავე მეზღვაურს გემის ძირქვეშ გამოატარებდნენ ხოლმე.**



ბრიტანელმა აკვალანგისტმა ჯეიმს ბლეიქუოთერმა ნებაყოფლობით გადაწყვიტა ამ, მისივე განმარტებით,,, წმინდა წყლის მამაკაცური სპორტის სახეობაში“ საკუთარი ძალების გამოცდა. ამასთან, მან უარი თქვა აკვალანგის გამოყენებაზე. ცდა დიდებული გამოდგა: მისტერ ბლეიქუოთერი ზედიზედ ექვსჯერ გაატარ-გამოატარეს მოდრეიფე იალქნიანი გემის ქვეშ. ამ ურთულეს გამოცდას მან ჩინებულად გაუძლო – გრძნობაც კი არ დაუკარგავს.

### ახლა ხანდაზმულები გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ

**1994 წლის 4 ოქტომბრიდან ხანდაზმულ ადამიანთა საერთაშორისო დღე აღინიშნება: ხანდაზმულებს მიეკუთვნებიან 60-დან 74 წლამდე ასაკის ადამიანები; 20 წლისასთან შედარებით, 60 წლის კაცს ჭრილობები სამჯერ უფრო ნელა უხორცდება; ხანდაზმულთა 70 პროცენტზე მეტს სამი-ოთხი ქრონიკული დაავადება სჭირს; სამოცწლიანთა 30 პროცენტს ჰიპერტონია აქვს; 50 წლის ასაკს მიღწეულებს ახალგაზრდებზე ორჯერ მეტი სინათლე სჭირდებათ; მსოფლიოს 12 ქვეყანაში 65 წლის ასაკს მიღწეულთაგან 72 პროცენტმა განაცხადა, რომ თავს მოხუცად არ გრძნობს.** აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი – 80 პროცენტი – ყველაზე მაღალი გერმანიაშია; ხანდაზმულთა 71 პროცენტს მიაჩნია, რომ მათზე მათი ოჯახები იზრუნებენ; ხანდაზმულ ასაკში საუკეთესო ფიზიკური დატვირთვაა ტანვარჯიში და სიარული; სიბერეში მეხსიერების დაკარგვის შანსი გაცილებით დაბალია განათლებულ ხალხში, ვიდრე იმათ, ვინც საკუთარი განათლება სკოლით შემოიფარგლა; სამყაროს ხალისიანი ცქერა თქვენს სიცოცხლეს 9 წლით გაახანგრძლივებს; ამერიკის შეერთებულ შტაებში 70-წლიანთა ორ მესამედს სასიყვარულო ურთიერთობა აქვს სულ ცოტა თვეში ორჯერ; ხანდაზმული ადამიანის საკვების კალორიულობის მაჩვენებელი დღეში ორ ათას კალორიას არ უნდა აღემატებოდეს; მრავალ ქვეყანაში, სადღეისოდ, ხანდაზმულთა რიცხვი ბავშვთა რიცხვს ჭარბობს. 2050 წლისთვის კი, ზოგიერთ ქვეყანაში მათი რიცხვი ბავშვების რიცხოვნობას ორჯერ გადააჭარბებს.

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● ადოლფ ჰიტლერის რამდენიმე ნათესავი, კერძოდ კი ფიურერის ძმის სამი შვილიშვილი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და მათი გარდაცვალების შემთხვევაში გერმანიის მესამე რაიხის ფიურერის მოდგმაც არსებობას შეწყვეტს, – სამივე ძმა შეთანხმდა, რომ შთამომავლობას არასდროს იყოლიებენ.

● დიდი კომპოზიტორი მოცარტი ვენაში წმინდა მარკოზის უპატრონოთა სასაფლაოზეა დამარხული.

● XIX საუკუნის ბოლოს ილუზიონისტურ ხელოვნებაში მიდიოდა ბრძოლა სპირიტისტებსა და ანტისპირიტისტებს შორის. 1892 წელს ართურ კონან დოილის წიგნის გამოსვლამ კი საფუძველი ჩაუყარა ამ ხელოვნების ახალ ჟანრს. მისი ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი ერიხ ვეისი ჩვენთვის ჰარი გუდინის სახელით არის ცნობილი.

● სახლიდან სახელოსნოში სამუშაოდ მიმავალი დიდი მეცნიერი თომას ალვა ედისონი გზად ყოველთვის შედიოდა შენობაში, სადაც ზამთარში თბებოდა, ზაფხულში კი გრილდებოდა. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, ხალხს ეფიქრა, რომ მეცნიერი მორწმუნე იყო, – ეს შენობა ეკლესია იყო.

● ფილოსოფოს დიოგენეს მთელი ავლადიდება იყო საცხოვრებელი კასრი, ერთი მოსასხამი, პურის გუდა, ყავარჯენი და ხის ჯამი, რომელიც შემდეგ მასვე ზედმეტად ჩაუთვლია.

● კლავდიუსის დროს მონეტებზე ეწერა მისი სრული ტიტული: „ტიბერიუს კლავდიუს კეისარი, ავგუსტუსი, უმაღლესი ქურუმი, ტრიბუნი, იმპერატორი“.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6672 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3998 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7179 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9144 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– მიხო, კარგად მოიქეცი, თორემ ხომ ხედავ, ის წიწილები, ცუდად რომ იქცეოდნენ, მგელმა შეჭამა! – ეუბნება საბავშვო ბაღის აღმზრდელი.

– ჰო, ვნახე, მაგრამ მათთვის სულერთი არ არის? კარგად რომ მოქცეულიყვნენ, მაშინ ხომ ჩვენ შევჭამდით?!

* * *

სიკვდილის წინ აღსარება და ცოდვათა მონანიება აუცილებელია, რათა ადამიანის მიერ დაგროვილი გამოცდილება ფუჭად არ დაიკარგოს.



კარგმა გოგომ უნდა იცოდეს ყველაფრის კეთება, რასაც აკეთებს ცუდი გოგო. მაგრამ რაკი იგი კარგია, ყოველივე ამას კარგად უნდა აკეთებდეს.

* * *

ძუკუს სახლში ტელეფონი რეკავს:

– ალო, ეს მიხოს ბინაა?

– ვერც კი წარმოიდგენ, გენაცვალე, როგორ შეგეშალა ნომრის აკრეფა.

* * *

მიხომ საბავშვო ბაღში შვილს მიაკითხა წამოსაყვანად.

– თქვენი ბიჭი საშინლად იგინება! – ეუბნება აღმზრდელი.

– ვისგან ისწავლა, მე მაგის დედაც!..

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24